განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დოქტ. მარლისა როსი, შოტლანდიის სამეფო კონსერვატორია, გაერთიანებული სამეფო
წევრები:
დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
თამარ ჩხეიძე, სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
ნინო ხაბეიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
დავით სიხარულიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ნინო ღაჭავა, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო.

თბილისი
2025

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა 1995 წელს, უნივერსიტეტი აერთიანებს სამ ფაკულტეტს და ცხრა დეპარტამენტს. 1998 წელს უნივერსიტეტის მუსიკალური დისციპლინების ფაკულტეტისგან შეიქმნა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია. 2006 წელს აღნიშნული ორი ინსტიტუცია მიუერთდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხელოვნების ფაკულტეტის სახით. მოგვიანებით, 2009 წელს, მთავრობის გადაწყვეტილებით, დაარსდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს ოთხი მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა და სახვითი ხელოვნება. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამი ფაკულტეტი: სახვითი, სასცენო და კინო - ტელე ხელოვნების ფაკულტეტი ახორციელებს არქიტექტურის, ინტერიერის დიზაინის და მოდის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. მუსიკის ფაკულტეტი ახორციელებს სამუსიკო შემსრულებლობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს და მუსიკის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს სხვადასხვა სპეციალიზაციის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, ისევე როგორც მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას ვიზუალურ და გამოყენებით ხელოვნებაში. უნივერსიტეტს განზრახული აქვს მომდევნო სამი წლის განმავლობაში შეიმუშავოს ახალი სამაგისტრო პროგრამები თეატრალურ დიზაინში (სცენოგრაფიის ხელოვნება), დრამატურგიაში (ტელევიზია, კინო, თეატრი), თეატრალურ რეჟისურაში (დრამა, მუსიკალური თეატრი, პანტომიმა, თოჯინების თეატრი) და საბაკალავრო პროგრამა ინტერიერის დიზაინში.

უნივერსიტეტს ჰყავს 512 სტუდენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. დაწესებულებას ჰყავს 44 აკადემიური პერსონალი, 100 მოწვეული სპეციალისტი და 102 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები ხელოვნების მიმართულებით, უზრუნველყოს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და განახორციელოს ძლიერი პროფესიული სასწავლო პროგრამები.

უნივერსიტეტი მდებარეობს ქალაქის ცენტრში ისტორიულ შენობაში, რომელიც ადაპტირებულია თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად და აკმაყოფილებს თითოეული პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებს.

უნივერსიტეტი ასევე აქტიურად მონაწილეობს რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში და ჩართულია ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი ინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოში მოქმედ სხვა წამყვან ხელოვნების სპეციალიზაციის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თანამშრომლობს საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და შემოქმედებით ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტი აწყობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, პერსონალი მონაწილეობს შემოქმედებით და აკადემიურ ღონისძიებებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

შეჯამება:

1. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოამზადა ინგლისურენოანი თვითშეფასების ანგარიში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე.
2. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, მათ შორის საერთაშორისო თავმჯდომარემ, შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ქართულ და ინგლისურ ენაზე.
3. ექსპერტთა ჯგუფმა 3 დღის განმავლობაში (22-24 სექტემბერი, 2025) ჩაატარა ადგილზე ვიზიტი და წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად გამართა შეხვედრები პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

"ექსპერტთა სახელმძღვანელოს" (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო) შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაიწერა ურთიერთთანამშრომლობით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ზედამხედველობით. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა მიიღო მითითებები თავად პროცესის, ფუნქციების და პასუხისმგებლობების შესახებ. ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს წინამოსამზადებელ შეხვედრაში, რაც მოიცავდა თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლას.

ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს დაევალა კონკრეტულ სტანდარტზე მუშაობა, რამაც უზრუნველყო ვიზიტის სათანადოდ დაგეგმვა. ვიზიტის ეფექტურად და დეტალურად დაგეგმვის მიზნით, ჯგუფში შეირჩა კონკრეტულ სტანდარტზე პასუხისმგებელი ექსპერტთა ჯგუფის ორი წევრი.

ექსპერტთა ჯგუფმა წინამოსამზადებელი შეხვედრა ჩაატარა ონლაინ ფორმატით (ექსპერტთა სახელმძღვანელო), განიხილა მნიშვნელოვანი საკითხები და განსაზღვრა პრიორიტეტები. ვიზიტის ეფექტურად წარმართვის მიზნით, ექსპერტებმა შეავსეს შეკითხვების ცხრილი. გაიმართა დისკუსია შესაფასებელი სფეროების გარშემო, გადანაწილდა პასუხისმგებლობები და დადასტურდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის დასკვნის შესამუშავებლად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა და დეტალურად შეისწავლა ინფორმაცია, საჭიროებისამებრ დააზუსტა კონკრეტული საკითხები და უზრუნველყო ყველა საჭირო ინფორმაციის და დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა და შეგროვება. ექსპერტთა სახელმძღვანელოს თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა ურთიერთთანამშრომლობით და ურთიერთგაგებით, შემდეგი პრინციპების დაცვით

- დღის წესრიგის ყურადღებით შემუშავება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვა;
- ღია კითხვების დასმა შესაბამისი განმარტებებით;
- ვიზიტის ფარგლებში, გამოვლენილ სხვადასხვა თემებზე მრავალფეროვანი თვალსაზრისის მოძიება;
- თითოეული გასაუბრების დაგეგმვა, პროცესში გამოვლენილ საკითხებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის სტუდენტებს და პერსონალს საავტორიზაციო პროცესში სრულად და გამჭვირვალედ მონაწილეობისათვის. ექსპერტთა ჯგუფმა, პერსონალის დახმარებით, დაათვალიერა

უნივერსიტეტის შენობა, მათ შორის საშემსრულებლო სივრცეები, სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები.

შეფასების შედეგად შემუშავდა დასკვნა, რომელიც ჩამოყალიბებულია დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი გულწრფელ მადლობას უხდის რექტორს და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მასპინძლობისთვის, ღია ჩართულობისთვის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარისხისთვის, ასევე, საავტორიზაციო პროცესში სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კოლეგიალური ჩართულობისთვის.

ექსპერტები იმედოვნებენ, რომ წარმოდგენილი დასკვნა კონსტრუქციულია და დაეხმარება უნივერსიტეტს არა მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებაში, არამედ ხელს შეუწყობს უსდ-ს უწყვეტ განვითარებას, განსაზღვრული მიზნების მიღწევას და სტრატეგიული გეგმის განხორციელებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

კომპონენტი 1.2 - სტრატეგიული განვითარება

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სტრატეგიული გეგმის კომპონენტები, მათ შორის SWOT ანალიზის ცვლადები (ფაქტორები) და სამოქმედო გეგმა, სიცხადის, თანმიმდევრულობის და მეთოდოლოგიური სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

- რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეები აქტიურად მონაწილეობდნენ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში - მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი მხარეები - იმისათვის, რომ გაძლიერდეს გეგმის რელევანტურობა, მიკუთვნებულობის განცდა და პრაქტიკული გამოყენება.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ხელმისაწვდომი რესურსების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობის და პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ქვესტანდარტი 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს მექანიზმები სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიმართ უნივერსიტეტის პროგრესის შესახებ რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სტუდენტებთან, თანამშრომლებთან, პარტნიორებთან და ფართო საზოგადოებასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ანგარიშვალდებულება, ჩართულობა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემუშავება, რათა განისაზღვროს გეგმის აქტივაციის პროცედურები და მხარეთა როლები კრიზისის გამოცხადებისას.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში შემუშავდეს კონკრეტული კომუნიკაციის პროტოკოლები და პასუხისმგებლობები.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემდგომი განვითარება, რათა განისაზღვროს აღდგენის სამიზნეები, აღდგენის ჩარჩო, აკადემიური უწყვეტობის გაუმჯობესებული დაგეგმვა, უკეთესი ტექნოლოგიური და მონაცემთა დაცვის ზომები.

კომპონენტი 2.2 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დოკუმენტურად ასახოს და ყოველწლიურად გადახედოს მისაღები სტუდენტების რაოდენობის ზღვრებს, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის განათლებაზე და სწავლის შედეგებზე.

კომპონენტი 2.3 - ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პლაგიატის გამოვლენის ძირითადი ინსტრუმენტის სახით უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამებში Turnitin - ის სისტემატური გამოყენება.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სავალდებულო ტრენინგი Turnitin - ის გამოყენებასთან და მსგავსების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომ ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი შემოწმდეს მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით.

კომპონენტი 3.1 - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- რეკომენდებულია, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების" დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს თითოეული ეტაპი: საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, შეფასება და განვითარება, გაუქმება და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

კომპონენტი 3.3 - სწავლის შედეგების შეფასება

- რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი დაიხვეწოს ისე, რომ მკაფიოდ განსაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე შეფასებისა და განვითარების ეტაპები.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს და ცვლილებები შევიდეს „ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და ცალკეულად შემუშავდეს მაგისტრატურის დებულება, რაც მეტ სიცხადეს უზრუნველყოფს.

კომპონენტი 4.1 - პერსონალის მართვა

- რეკომენდებულია, უფრო ცხადი გახდეს პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და თანამშრომლებისთვის მიწოდებული იყოს კონკრეტული, პრაქტიკული უკუკავშირი, რაც გააძლიერებს მათ პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციას.

- რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისთვის განისაზღვროს დამატებითი სამიზნე ნიშნულები, დარგის სპეციფიკის, სტუდენტთა მიღების მიმდინარე და დაგეგმილი მაჩვენებლების, ასევე, პერსონალის კატეგორიების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალის მიერ სათანადო მოცვა და პროგრამის ხარისხი.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პერსონალთან კომუნიკაციის ფორმალური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების, რეკომენდაციებისა და აღიარების მათთან უკეთ მიტანას, ელ.ფოსტის გზავნილების მიღმა, რაც გააუმჯობესებს პროცესის სიცხადესა და ჩართულობას.

კომპონენტი 4.2 - აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალისთვის სამუშაო დატვირთვის დაგეგმვის, მონიტორინგის და შესრულების მოლოდინების გაცნობის მიზნით, ჩატარდეს რეგულარული სამუშაო შეხვედრები და საინფორმაციო სესიები.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს და აკადემიურ პერსონალს გააცნოს სამუშაო დატვირთვის შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები და შედეგები.

- რეკომენდებულია ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს შორის შიდა კომუნიკაციის გაძლიერება, რათა გაიზარდოს სამუშაო დატვირთვის მართვის გამჭვირვალობა და ეფექტიანობა.

კომპონენტი 5.2 - სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიები და ტრენინგები (განსაკუთრებით სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის) უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების, საბიბლიოთეკო რესურსებისა და მათი ეფექტური გამოყენების შესახებ.

  რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტმა გააძლიეროს არსებული შესაძლებლობების (გაცვლითი პროგრამები, პროექტები) შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზები და დანერგოსსტუდენტთა აქტივობის წახალისების ეფექტური მექანიზმები.

კომპონენტი 6.1 - კვლევითი საქმიანობა

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისობა ინსტიტუციის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან, რაც მხარდაჭერილი უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული ბიუჯეტითა და ფინანსური მოთხოვნებით.

- რეკომენდებულია, სათანადო რეგულაციაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საშემსრულებლო პროგრამებში სამაგისტრო პროექტის კვლევითი კომპონენტის მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები.
-

კომპონენტი 6.2 - კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ განაახლოს სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიის დოკუმენტი და შესაბამისობაში მოიყვანოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებთან.

კომპონენტი 6.3 - კვლევითი საქმიანობის შეფასება

- რეკომენდებულია, რომ მკაფიოდ განისაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინირების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების ფუნქციები და მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოვიდეს რეალურ პრაქტიკასთან.

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის პირობები (მათ შორის დაფინანსება).
-

კომპონენტი 7.1 - მატერიალური რესურსები

- რეკომენდებულია, რომ პირველადი დახმარების სამედიცინო ოთახი აღიჭურვოს ცხელი წყლით, რათა შესაძლებელი იყოს სამედიცინო და სანიტარული პროცედურების ჩატარება ოპტიმალურ პირობებში.

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას სასადილო, რათა სტუდენტებს კამპუსზე ჰქონდეთ კვების ხელმისაწვდომი და კომფორტული სივრცე.

კომპონენტი 7.2 - საბიბლიოთეკო რესურსები

- რეკომენდებულია, საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების უფრო ეფექტური მხარდაჭერისთვის, უნივერსიტეტმა განაახლოს და გაამრავლოს სახელოვნებო მიმართულებების ელექტრონულ რესურსებზე წვდომა.

კომპონენტი 7.4 - ფინანსური რესურსები

- რეკომენდებულია, ბიუჯეტში გაძლიერდეს კვლევისა და შემოქმედებითი აქტივობების მდგრადი განვითარების მიმართულებით სახარჯო კომპონენტი.

რჩევები

კომპონენტი 2.1 - ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგიები, რომლებიც სტუდენტებს და პერსონალს წაახალისებს უფრო აქტიურად ჩაერთონ ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებში.

- სასურველია, უნივერსიტეტმა რეგულარულად შეაფასოს უსდ-ში განხორციელებული ინგლისური ენის კურსების ხარისხი და გავლენა უკუკავშირის, შესრულების მეტრიკების და მობილობის შედეგების საფუძველზე და მიგნებების შესაბამისად განახორციელოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები.

- სასურველია, უნივერსიტეტმა მოიძიოს მობილობის ინიციატივების ახალი პოტენციური დაფინანსების შესაძლებლობები, მათ შორის მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები, სტაჟირებები, კვლევითი ვიზიტები და თანამშრომლობითი პროექტები სხვადასხვა აკადემიური და პროფესიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

- სასურველია, რომ ბიზნესის უწყვეტობის გეგმა შემუშავდეს ისე, რომ მოიცავდეს სცენარზე დაფუძნებულ პროცედურებს.

კომპონენტი 2.2 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- სასურველია, სწავლის შედეგების და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების უწყვეტი მონიტორინგის მიზნით, შემუშავდეს რაოდენობრივი, მონაცემებზე დაფუძნებული მეტრიკები (ძირითადი შესრულების ინდიკატორები).
- სასურველია, პერსონალის ჩართულობის და ინსტიტუციური ვალდებულების გასაძლიერებლად შემუშავდეს ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივები რეგულარული სამუშაო შეხვედრების, მენტორული სესიების და აღიარების პროგრამების გამოყენებით, რომლებსაც ზედამხედველობას გაუწევენ ხელმძღვანელები.
- სასურველია, დაინერგოს ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობის პლატფორმები ერთობლივი პროექტების, დეპარტამენტთაშორისი სასწავლო სესიების და რეფლექსიური პრაქტიკის ფორუმების ორგანიზებით, რაც დეპარტამენტებს შორის წაახალისებს ცოდნის გაზიარებას და უწყვეტ განვითარებას.

კომპონენტი 2.3 - ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- სასურელია, სიცხადის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული იყოს ერთიანი მითითების / ციტირების სტილი.

- სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში" დამატების შესაძლებლობა.

- სასურველია, უნივერსიტეტმა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშაოს პლაგიატის და მისი სხვადასხვა ფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მექანიზმები.

კომპონენტი 3.2 - საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს სილაბუსებს და გაასწოროს გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზები.

- სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კომპონენტის არჩევის წესი.

კომპონენტი 4.1 - პერსონალის მართვა

- სასურველია, განისაზღვროს სპეციალური ერთეული ან პირი, რომელიც დაეხმარება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საპროექტო წინადადებების მომზადებასა და წარდგენაში, რაც ხელს შეუწყობს კვლევითი პროდუქტიულობის ზრდასა და გარე დაფინანსების მოზიდვას.

- სასურველია, გაგრძელდეს პროფესიული განვითარების პროგრამების გაფართოება, მათ შორის ტრენინგების, სემინარების, პროექტებისა და სხვა ინიციატივების სახით, და უზრუნველყოფილი იყოს მათი ხელმისაწვდომობა ყველა თანამშრომლისათვის.

კომპონენტი 4.2 - აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

- სასურველია, გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს საათობრივი ანაზღაურების პოლიტიკა, რათა სამართლიანი ანაზღაურებისა და პერსონალის მოტივაციის უზრუნველსაყოფად

- სასურველია, დატვირთვის მოდელებში უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო ვალდებულებებსა და კვლევით, შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობებში მონაწილეობის დროს შორის ბალანსი.

კომპონენტი 5.2 - სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასურველია, საუნივერსიტეტო დონეზე განხორციელდეს ისეთი აქტივობები (მაგალითად: ვორქშოფები, ენის კლუბები), რომლებიც ხელს შეუწყობს ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესებას, რაც გაზრდის სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის პოტენციალს.
- სასურველია, გაძლიერდეს ბხსუ-ს პერსონალის ჩართულობა სტუდენტთა ექსტრაკურიკულარული აქტივობებისა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაში.

კომპონენტი 6.2 - კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- სასურველია, გაიზარდოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების მხარდაჭერა და გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

- სასურველია, ახლად-დადებული მემორანდუმების ფარგლებში დაიგეგმოს, სამოქმედო გეგმაში აისახოს და განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები.

კომპონენტი 6.3 - კვლევითი საქმიანობის შეფასება

- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს ძალისხმევა პერსონალის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მიმართულებით და უზრუნველყოს ამ პროცესების დაგეგმვა.

- სასურველია, მეტი კონცენტრირება პერსონალის მოტივაციის გაზრდაზე, რაც ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას.

საუკეთესო პრაქტიკები

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია მითხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მითხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მითხოვნებთან**	**არ შეესაბამება მითხოვნებს**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐

3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5.	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	**კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. მარლისა როსი (თავმჯდომარე)
2. დიანა მჭედლიშვილი, საქართველო
3. თამარ ჩხეიძე, საქართველო
4. ნინო ხაბეიშვილი, საქართველო
5. დავით სიხარულიძე, საქართველო
6. ნინო ღაჭავა, საქართველო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და / ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტები უმაღლესი სახელოვნებო, აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების / კურსების განხორციელებით, რომლებიც აკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნებს. უნივერსიტეტის მიზანია გახდეს, რეგიონში წამყვანი საგანმანათლებლო ცენტრი კულტურის და სახელოვნებო უმაღლესი განათლების მიმართულებით და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის განვითარებას. უნივერსიტეტის განაცხადი მისი როლის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სრულად შეესაბამება მის მისიას. რეგიონულ ჭრილში, უსდ-ს მისია განსაზღვრავს უნივერსიტეტს, როგორც კულტურის და ხელოვნების მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრს. ეროვნულ დონეზე, უსდ-ს მისიაა საზოგადოებრივ საჭიროებებზე რეაგირება, ხოლო უსდ-ს საერთაშორისო მიზანი ასახულია უნივერსიტეტის ხედვაში, რაც გულისხმობს ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილებით საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას. უსდ-ს მისია ასევე ასახავს უმაღლესი განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრების მომზადებაში. უსდ-ს მისია ასევე გულისხმობს სამოქალაქო სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადებას, ხოლო უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებებია - თანასწორობა, სამართლიანობა, ჰუმანურობა და თავისუფლება. გარდა ამისა, მისია განსაზღვრავს უნივერსიტეტის ძირითად მახასიათებლებს მისი პროფილის შესაბამისად. მისიაში დაწესებულება განსაზღვრულია, როგორც ხელოვნების უნივერსიტეტი, აქცენტი კეთდება უმაღლესი სახელოვნებო, აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებაზე. მისიის მიხედვით, უნივერსიტეტი წარმოდგენილია, როგორც კულტურის და ხელოვნების საგანმანათლებლო ცენტრი და აღნიშნულია მისი შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ვალდებულება. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია მკაფიოდ ასახავს უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს თანამედროვე საზოგადოებაში. ის ორიენტირებულია ცოდნის შექმნასა და გავრცელებაზე. უნივერსიტეტის მიზანია გახდეს რეგიონში წამყვანი საგანმანათლებლო ცენტრი, ხაზგასმულია ცოდნის გაზიარება, შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, როგორც ცოდნის შექმნის გამორჩეული ფორმა. მისია ორიენტირებულია სტუდენტების პირად განვითარებაზე. ის აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით ინდივიდუალური პოტენციალისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. გარდა ამისა, ხაზგასმულია სტუდენტების ორიენტაცია საქართველოს და მსოფლიო კულტურის ღირებულებებზე, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნების და ჰუმანური იდეალების ხელშეწყობაზე, რაც უზრუნველყოფს ინდივიდის ჰოლისტურ განვითარებას. მისია ასევე ფოკუსირებულია შრომის ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე. მასში პრიორიტეტი ენიჭება შრომის ბაზრის მოთხოვნების და საზოგადოების საჭიროებების შესაბამისად, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. აქცენტი თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული სამოქალაქო სულისკვეთების მქონე პროფესიონალების მომზადებაზე ასახავს უნივერსიტეტის ვალდებულებას განავითაროს არა მხოლოდ პროფესიული კომპეტენციები, არამედ უფრო ფართო პირადი და სამოქალაქო თვისებებიც, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატების მისაღწევად. გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები ფლობენ მხოლოდ ნაწილობრივ ცოდნას უნივერსიტეტის მისიის შესახებ. ინფორმაცია მისიის შესახებ ვრცელდება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მისია და მიზნები;
- სტრატეგიული განვითარების გეგემა (7 წლიანი გეგმა);
- 3 წლიანი სამოქმედო გეგმა;
- მისიის მონიტორინგი, სტრატეგია;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ - ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ - ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტრატეგიული გეგმის შემუშავება, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს: ანალიზი და შეფასება, ხედვის და მისიის განსაზღვრა, სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება, სტრატეგიების შემუშავება, განხორციელების დაგეგმვა, მონიტორინგი და კონტროლი, კომუნიკაცია და ჩართულობა.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის თანახმად, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის SWOT ანალიზი ზოგადად კარგად არის შემუშავებული. კერძოდ, ძლიერ მხარეებში სათანადოდ არის ასახული უნივერსიტეტის შიდა რესურსები და გამორჩეული შესაძლებლობები. მაგალითად, უნივერსიტეტის შიდა ძლიერ მხარეს წარმოადგენს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მრავალწლიანი გამოცდილება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური აკადემიური პერსონალი და მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი. ანალოგიურად, რამდენიმე გამოვლენილი სუსტი მხარე ზუსტად განსაზღვრავს შიდა გამოწვევებს, როგორიცაა შეზღუდული სახელმწიფო დაფინანსება, განათლების ინტერნაციონალიზაციის პროგრესი და არასაკმარისი სტუდენტური საერთო საცხოვრებლები. შესაძლებლობების ნაწილი ასევე ლოგიკურად განსაზღვრავს შესაბამის გარე ფაქტორებს, როგორიცაა პერსონალის ანაზღაურების გაუმჯობესების პოტენციალი, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა და ბათუმის როგორც კულტურის ცენტრის განვითარება.

თუმცა, ფიქსირდება გარკვეული მეთოდოლოგიური ხარვეზები, კერძოდ, კატეგორიზაციის უზუსტობა. რამდენიმე პუნქტი განთავსებულია შეუსაბამო განყოფილებაში. მაგალითად, "უცხოელი მოქალაქეების დაინტერესება" მითითებულია, როგორც ძლიერი მხარე, თუმცა ის გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც შესაძლებლობა, ვინაიდან ასახავს გარე ფაქტორს. ანალოგიურად, "საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესება" გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც გარე ბაზრის შესაძლებლობა, შიდა ძლიერი მხარის ნაცვლად.

გარდა ამისა, სუსტ მხარეებად მითითებული რამდენიმე პუნქტი წარმოადგენს გარე საფრთხეებს. მაგალითად, "სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები" ასახავს საზოგადოების ეკონომიკურ შესაძლებლობას, ვიდრე შიდა ინსტიტუციურ სისუსტეს. უფრო მეტიც, შესაძლებლობების და საფრთხეების ნაწილში ზოგიერთი ფაქტორი წინააღდგებოაში მოდის ან მეორდება ან ორივე კატეგორიაში მითითებულია ერთი და იგივე ფაქტორი განსხვავებული ფორმულირებით.

SWOT ანალიზი ყოვლისმომცველია და წარმატებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის გარემოს ძირითად განზომილებებს, თუმცა საჭიროა მისი მეთოდოლოგიური დახვეწა. აუცილებელია SWOT ანალიზი შემუშავებული იყოს კონცეპტუალურად, რომ გაიმიჯნოს შიდა და გარე ფაქტორები და თითოეული ელემენტი განთავსდეს შესაბამის კატეგორიაში. აღნიშნული გაუმჯობესებები გაზრდის SWOT ანალიზის ანალიტიკურ ღირებულებას, უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ სტრატეგიულ დაგეგმვას და საშუალებას მისცემს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განასხვავოს უნივერსიტეტის კონტროლის ქვეშ არსებული შიდა და გარე ფაქტორები.
უნივერსიტეტის SWOT ანალიზის მიხედვით განსაზღვრული ძლიერი მხარეების უმეტესობა ზუსტად ასახავს უსდ-ს რეალურ კონკურენტულ უპირატესობებს. მრავალწლიანი გამოცდილება უმაღლესი სახელოვნებო განათლების მიმართულებით წარმოადგენს დაწესებულების მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს, რაც აძლიერებს ინსტიტუციურ მეხსიერებას და ხელს უწყობს დამკვიდრებული ტრადიციების განხორციელებას. თანამედროვე ინფრასტრუქტურის და სასწავლო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მატერიალურ, გაზომვად უპირატესობას, რაც პირდაპირ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. უნივერსიტეტი პოზიციონირებს, როგორც ერთადერთი, უნიკალური უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება დასავლეთ საქართველოში, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ მოთხოვნას და ერთგვარ მონოპოლიურ პოზიციას რეგიონულ ბაზარზე. გარდა ამისა, მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი წარმოადგენს მნიშვნელოვან აკადემიურ რესურსს, ხოლო სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი არის შემოქმედებითი ღონისძიება, რომელიც აძლიერებს უნივერსიტეტის ხილვადობას და კულტურულ გავლენას.

თუმცა, ძლიერი მხარეების ნაწილში განსაზღვრული რამდენიმე პუნქტი მეთოდოლოგიურად არასწორად არის კლასიფიცირებული. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინტერესი განხილული უნდა იყოს, როგორც შესაძლებლობა და არა ძლიერი მხარე, ვინაიდან წარმოადგენს პოტენციურ ინიციატივას, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა. ანალოგიურად, სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებით უცხოელი მოქალაქეების დაინტერესება წარმოადგენს გარე შესაძლებლობას და არა შიდა ძლიერ მხარეს.

დასაქმების კარგი შედეგების მითითება ასევე ზოგადია და არ იძლევა რაოდენობრივ მონაცემებს, რაც ზღუდავს აღნიშნული განცხადების ვალიდურობას და სანდოობას. გარდა ამისა, ძლიერი მხარეების ნაწილში ფიქსირდება გარკვეული გადაფარვა: მაგალითად, ბიზნესკავშირები და თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ძირითადად აღწერს ერთსა და იმავე მოვლენას, ხოლო კონკურენტულად შერჩეული პერსონალი და კვალიფიციური პერსონალი ნაწილობრივ მეორდება.

შესაძლებლობების ანალიზში გამოვლენილია რამდენიმე რეალური გარე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის განვითარებას. შრომის ანაზღაურების მოსალოდნელი გაუმჯობესება წარმოადგენს კონკრეტულ პერსპექტივას პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების თვალსაზრისით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და შესაბამისი სამინისტროების მხარდაჭერა წარმოადგენს ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის რეალურ გარე შესაძლებლობას. ბათუმის, როგორც კულტურული და ტურისტული ქალაქის განვითარება, ასახავს პოზიტიურ მაკრო - გარემოს, რომელიც ქმნის სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ხელსაყრელ პირობებს. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის და გამოცდილების გაცვლის ხელშესახებ შესაძლებლობას.

თუმცა, შესაძლებლობების კატეგორიაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ხარვეზები. რეკლამის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება მითითებულია, როგორც შესაძლებლობა, ხოლო ინფორმაციის არასაკმარისი გავრცელება, როგორც სუსტი მხარე. აღნიშნული წარმოადგენს მკაფიო გამეორებას და ქმნის ლოგიკურ წინააღმდეგობას: თუ ინფორმაციის შეზღუდული გავრცელება არის შიდა სისუსტე, მაშინ მისი გაუმჯობესება წარმოადგენს შიდა საუნივერსიტეტო საკითხს და არა გარე შესაძლებლობას. გარდა ამისა, პუნქტი, რომელიც მიუთითებს საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებაზე უწყვეტი განათლების პროგრამების მეშვეობით, უფრო მეტად წარმოადგენს სტრატეგიულ მიზანს ან განვითარების მიმართულებას, ვიდრე გარე შესაძლებლობას, რაც კვლავ მიუთითებს არასწორ კატეგორიზაციაზე.
საფრთხეების ნაწილში განსაზღვრულია რამდენიმე რეალური გარე რისკი. არათანაბარი წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე წარმოადგენს სისტემურ რისკს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს უნივერსიტეტის

ფუნქციონირების სტაბილურობაზე. დაბალი ანაზღაურების გამო ახალგაზრდა პერსონალის დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობა წარმოადგენს აკადემიური პოტენციალის განახლების კონკრეტულ საფრთხეს. ანალოგიურად, არახელსაყრელი სოციალურ - ეკონომიკური პირობების შედეგად აბიტურიენტთა დაინტერესების პოტენციური შემცირება წარმოადგენს სტუდენტების მოზიდვის და ჩარიცხვის რეალურ რისკს.

ამავე დროს, საფრთხეების ნაწილში გამოვლინდა მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური შეუსაბამობა. სტუდენტების საერთო საცხოვრებლების ნაკლებობა მითითებულია როგორც სუსტ მხარეებში, ისე საფრთხეებში, რაც წარმოადგენს მკაფიო გამეორებას. თუ ფაქტორი წარმოადგენს შიდა ხარვეზს, ის უნდა კლასიფიცირდეს, როგორც სისუსტე, ხოლო შესაბამის საფრთხეს უნდა წარმოადგენდეს სტუდენტების საერთო საცხოვრებლის მქონე კონკურენტი უნივერსიტეტების მიერ პოტენციური სტუდენტების მოზიდვა. ანალოგიური გამეორება ფიქსირდება უცხო ენების ცოდნის დაბალ დონესთან დაკავშირებით, რომელიც მითითებულია რამდენიმე კატეგორიაში, რაც მიუთითებს იგივე მეთოდოლოგიურ უზუსტობას.

ზოგადად, SWOT ანალიზი მოიცავს უნივერსიტეტის შესახებ მნიშვნელოვან რაოდენობრივ ინფორმაციას თუმცა, საჭიროა მისი გადახედვა გამეორებების აღმოსაფხვრელად, პუნქტების სათანადოდ კატეგორიზაციისთვის და უფრო კონკრეტული და გაზომვადი ფორმულირებების ჩამოსაყალიბებლად. აუცილებელია მკაფიოდ გაიმიჯნოს შიდა (ძლიერი და სუსტი მხარეები) და გარე ფაქტორები (შესაძლებლობები და საფრთხეები), რომ უზრუნველყოფილი იყოს, თითოეული ელემენტის მითითება შესაბამის კატეგორიაში. SWOT ანალიზის დახვეწა უზრუნველყოფს ანალიტიკურ სიზუსტეს და ანალიზის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

სტრატეგიული გეგმის ანალიზი

უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია ექვსი ძირითადი მიზანი, რომლებიც მოიცავენ საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ძირითად სფეროებს. საერთო ჯამში, სტრატეგიის სტრუქტურა თანმიმდევრულია და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, თუმცა, ვლინდება გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, მისიაში აღნიშნული "კვლევითი საქმიანობის განვითარება" შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი მე - 3 სტრატეგიულ მიზანში, ხოლო უნივერსიტეტის როლი, როგორც რეგიონული კულტურული ცენტრი, ნაწილობრივ არის ასახული დაგეგმილ კონკრეტულ აქტივობებში.

სტრატეგიული მიზნები ლოგიკურად მომდინარეობს მისიიდან. მაგალითად, მისიაში ჩამოყალიბებული "კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება" პირდაპირ არის დაკავშირებული პირველ მიზანთან (სასწავლო პროცესები) და მე - 5 მიზანთან (სტუდენტებთან მუშაობა). გეგმაში მითითებულია მკაფიო ვადები, რაც მოიცავს 2026 - 2032 წლებს და ითვალისწინებს გაზომვად შესრულების ინდიკატორებს, როგორიცაა აკრედიტებული პროგრამების და ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა.

თუმცა, დოკუმენტში მკაფიოდ არ არის მითითებული სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია. მითითებულია SWOT ანალიზის გამოყენება, თუმცა სხვა მეთოდოლოგიური ასპექტები, როგორიცაა ანალიტიკური ინსტრუმენტები, შეფასების კრიტერიუმები ან პრიორიტეტის მინიჭების მექანიზმები, არ არის აღწერილი.

გარდა ამისა, გეგმა არ აზუსტებს, რომ დაგეგმვის პროცესში გამოყენებული იყო მონაწილეობითი მიდგომა. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ შეზღუდული იყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სტრატეგიის შემუშავების პროცესში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების ან სხვა გარე დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა არ არის დოკუმენტირებული.

სტრატეგიული გეგმა სრულყოფილად მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ძირითად სფეროებს, მათ შორის სასწავლო პროცესებს, ხარისხის უზრუნველყოფას, კვლევას, ინტერნაციონალიზაციას, სტუდენტურ სერვისებს, ინფრასტრუქტურას და მმართველობას. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ნაწილობრივ გათვალისწინებულია მე - 5 მიზანში, ხოლო რესურსების მართვა მე - 6 მიზანში.

აქტივობები, ვადები და შესრულების ინდიკატორები ზოგადად კარგად არის განსაზღვრული, გეგმაში მითითებულია პასუხისმგებელი ერთეულები და პოტენციური რისკები. საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოდგენილია რამდენიმე ამოცანაში, როგორიცაა ამოცანა 1.6 (უწყვეტი განათლება), ამოცანა 2.4 (კულტურული

მემკვიდრეობა) და ამოცანა 3.2 (ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა). თუმცა, ნაკლებად არის მოცემული სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინიციატივები, ასევე მკაფიოდ არ არის მითითებული გამოცდილების გაზიარება და საკონსულტაციო სერვისები.

ტექნიკური თვალსაზრისით, სტრატეგიული გეგმა კარგად არის სტრუქტურირებული, ლოგიკურია, მოიცავს კონკრეტულ ინდიკატორებს და განხორციელების რეალისტურ ვადებს. მიუხედავად ამისა, მის ძირითად სუსტ მხარეს წარმოადგენს განსაზღვრული მეთოდოლოგიის არარსებობა და მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის ნაკლებობა, რაც არის უმაღლესი განათლების მართვის თანამედროვე სტანდარტების არსებითი მოთხოვნა. ასევე, მნიშვნელოვანია, მეტი აქცენტი გაკეთდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობების გაძლიერებაზე და რესურსების განაწილების და გამოყენების დეტალურ აღწერაზე.

სამოქმედო გეგმის ანალიზი

უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა სრულ შესაბამისობაშია 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის სტრუქტურასთან და მიჰყვება მკაფიო იერარქიულ ლოგიკას.

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ექვსივე სტრატეგიული მიზანი პირდაპირ უკავშირდება სტრატეგიული გეგმის მიზნებს, რაც უზრუნველყოფს შიდა თანმიმდევრულობას. აღნიშნული შესაბამისობის მიუხედავად, სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ აქტივობებს და ზომებს, რომლებიც ემსახურება სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებული მიზნების მიღწევას. დეტალური მოქმედებების აღნიშნული დონე წარმოადგენს სამოქმედო გეგმის ძირითად მიზანს და განასხვავებს მას სტრატეგიული გეგმისგან.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მჭიდროდ არის დაკავშირებული, მათი ფუნქციები განსხვავებულია. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს უნივერსიტეტის გრძელვადიან ხედვას, მისიას და ყოვლისმომცველ მიმართულებებს, ადგენს თუ რის მიღწევას ცდილობს უნივერსიტეტი და რატომ. მასში, როგორც წესი, მოცემულია ფართო ფორმულირებები და გაწერილია ხუთიდან შვიდ წელზე. მაგალითად, სტრატეგიულ გეგმაში შეიძლება აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწას, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად. თუმცა, მასში არ არის მითითებული აღიშნული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული კონკრეტული ნაბიჯები.

ამის საპირისპიროდ, სამოქმედო გეგმამ უნდა აღმოფხვრას ეს ხარვეზი და სტრატეგიული მიზნები გარდაქმნას კონკრეტულ მოქმედებებად. სამოქმედო გეგმა უნდა იყოს დეტალური, პრაქტიკული დოკუმენტი, რომელიც პასუხობს კითხვებს თუ როგორ მიიღწევა სტრატეგიული მიზნები, ვინ არის პასუხისმგებელი, როდის განხორციელდება კონკრეტული მოქმედებები და რა რესურსები იქნება გამოყენებული. სამოქმედო გეგმა, როგორც წესი გაწერილია ერთიდან სამწლიან პერიოდზე, საკმარისად დეტალურია იმისათვის, რომ ყველა პასუხისმგებელმა თანამშრომელმა მკაფიოდ გააცნობიეროს მათზე დაკისრებული ამოცანები და ვადები.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დოკუმენტი მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს. მასში განსაზღვრულია ექვსი სტრატეგიული მიზანი და ქვეამოცანები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, პოტენციური რისკები და ვადები წლების მიხედვით. აღნიშნული ელემენტები არის ეფექტური დაგეგმვის განუყოფელი ნაწილი. თუმცა, დოკუმენტს აკლია ყველაზე არსებითი მახასიათებელი, როგორიცაა მკაფიოდ განსაზღვრული, კონკრეტული და დროში გაწერილი აქტივობები.

მაგალითად, სტრატეგიული გეგმის პირველი სტრატეგიული მიზანი ეხება საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვას და განხორციელებას. მასთან დაკავშირებული ერთ - ერთი ამოცანა მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დახვეწას თანამედროვე ხელოვნების, ციფრული ტექნოლოგიების და მულტიმედიის სფეროებში. სამოქმედო გეგმაში მითითებულია შესრულების ინდიკატორები (მაგალითად, განახლებული ან აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა), განსაზღვრულია პასუხისმგებელი ერთეულები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საგანმანათლებლო პროცესის მართვის დეპარტამენტი), წარმოდგენილია პოტენციური რისკები (შეზღუდული ტექნოლოგიური რესურსები და კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა).

თუმცა, სამოქმედო გეგმის ეფექტურობისთვის, მასში აღწერილი უნდა იყოს ეტაპობრივი პროცესი, რაც საჭიროა აღნიშნული ამოცანის მისაღწევად. მაგალითად (საილუსტრაციო მაგალითი):

2026

- **იანვარი - მარტი:** გადახედეთ არსებულ სილაბუსებს და გამოავლინეთ აუცილებელი ინოვაციები.
- **აპრილი:** შექმენით სამუშაო ჯგუფი (10 წევრი: 5 პროფესორი, 3 სტუდენტი და 2 დამსაქმებელი).
- **მაისი:** ჩაატარეთ ბაზრის კვლევა – 15 შეხვედრა დამსაქმებლებთან და 50 კურსდამთავრებულის გამოკითხვა.
- **ივნისი - აგვისტო:** შეიმუშავეთ სამი ახალი კურსი ციფრულ ტექნოლოგიებში.
- **სექტემბერი:** განახორციელეთ ორი საპილოტე კურსი 30 სტუდენტთან.
- **ოქტომბერი:** შეაგროვეთ და გააანალიზეთ სტუდენტების და დამსაქმებლების უკუკავშირი.
- **ნოემბერი - დეკემბერი:** დაასრულეთ და განაახლეთ პროგრამის დოკუმენტაცია.

2027

- **იანვარი - თებერვალი:** მოამზადეთ აკრედიტაციის დოკუმენტაცია.
- **მარტი:** წარადგინეთ მასალები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
- **აპრილი - ივნისი:** მოემზადეთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისთვის
- *(და ასე შემდეგ).*

მსგავსი საკითხი ფიქსირდება მე - 4 სტრატეგიულ მიზანში, რომელიც ეხება ინტერნაციონალიზაციას. სტრატეგიული გეგმაში განსაზღვრულია ამოცანა, რომელიც ეხება კონკურსის წესით შერჩეული სტუდენტების გაგზავნას პარტნიორ უნივერსიტეტებში საერთაშორისო აკადემიური მობილობის ფარგლებში. თუმცა, სამოქმედო გეგმა არ აკონკრეტებს განხორციელების კონკრეტულ ნაბიჯებს, როგორიცაა შერჩევის კრიტერიუმები, განაცხადის წარდგენის და ნომინაციის ვადები, პარტნიორებთან კოორდინაციის პროცესები, დაფინანსების მექანიზმები ან მობილობის მოსალოდნელი შედეგები.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა აჩვენებს ფორმალურ და სტრუქტურულ შესაბამისობას სტრატეგიულ გეგმასთან და მოიცავს დაგეგმვის არსებით ელემენტებს, როგორიცაა ინდიკატორები, პასუხისმგებლობები და რისკების გამოვლენა. მიუხედავად ამისა, სამოქმედო გეგმას აკლია სპეციფიკურობა და განხორციელების დეტალები. პრაქტიკული ღირებულების გასაძლიერებლად, სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს:

1. თითოეული ამოცანის დეტალურ, გაზომვად და დროში გაწერილ აქტივობებს;
2. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებს ან დეპარტამენტებს;
3. საჭირო რესურსებს და მოსალოდნელ შედეგებს;
4. მონიტორინგის და ანგარიშგების მკაფიო მექანიზმებს.

აღნიშნული საკითხების გათვალისწინება უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის რეალურ განხორციელებას და სტრატეგიულ მიზნებს გარდაქმნის მოქმედებად და გაზომვად ინსტიტუციურ პროგრესად.

2026 წლის კონკრეტული აქტივობები

2026 წლისთვის ინტერნაციონალიზაციის მიზნის განსახორციელებლად კონკრეტული აქტივობები შეიძლება სტრუქტურირებული იყოს შემდეგნაირად:

1. **იანვარი**
   - შეგროვდეს ინფორმაცია პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების შესახებ (სამიზნე: მინიმუმ 5 პროგრამა).
   - სტუდენტებისთვის ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია (3 პრეზენტაცია, 2 სემინარი).
2. **თებერვალი**
   - დამტკიცდეს გაცვლითი პროგრამის კონკურსის წესები.
   - მიღებულ იქნეს სტუდენტების განაცხადები (სამიზნე: 20 განაცხადი).
3. **მარტი**
   - შეფასდეს განაცხადები და შეირჩეს 10 სტუდენტი.

- შერჩეული სტუდენტებისთვის დაიგეგმოს და ჩატარდეს მოსამზადებელი სემინარი (ენობრივი და კულტურული ტრენინგის ჩათვლით).

4. **აპრილი - მაისი**
    - მომზადდეს ვიზები, დაზღვევა და ფინანსური დოკუმენტაცია.
    - განხორციელდეს სტუდენტების გამგზავრების ორგანიზება.
5. **ივნისი - დეკემბერი**
    - განხორციელდეს პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების სასწავლო საქმიანობის მხარდაჭერა.
    - ონალინის შეხვედრების მეშვეობვით ჩატარდეს ყოველთვიური მონიტორინგი.
6. **დეკემბერი**
    - ხელშეწყობილ იქნეს სტუდენტების დაბრუნება.
    - შეფასდეს პროგრამის შედეგები.
    - მომზადდეს შედეგების შეჯამების საბოლოო ანგარიში.

აღნიშნული დეტალები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს თითოეულ ეტაპზე მკაფიოდ გამოავლინოს საჭირო რესურსები. მაგალითად, საინფორმაციო კამპანიას შეიძლება დასჭირდეს 3000 ლარი სარეკლამო მასალებისთვის, 5000 ლარი მოსამზადებელი სემინარებისთვის, 40000 ლარი ვიზებისთვის და დაზღვევისთვის და 50000 ლარი სტიპენდიებისთვის. აღნიშნული ასევე აზუსტებს პერსონალის საჭიროებებს. პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის იანვრიდან მაისის ჩათვლით საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერს დასჭირდება კვირაში დაახლოებით 20 საათი.

სამოქმედო გეგმა სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი ცხრილის ფორმით, სადაც თითოეული სტრატეგიული მიზანი დაყოფილი იქნება ამოცანებად, ხოლო თითოეული ამოცანა კონკრეტულ აქტივობებად. სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობისთვის მითითებული უნდა იყოს:

- დროის ზუსტი განაწილება: წელი, კვარტალი, თვე ან კონკრეტული კვირა.
- შესრულების ინდიკატორები: შედეგები, რომლებიც გაზომვადია და ექვემდებარება გადამოწმებას.
- პასუხისმგებელი პირები ან ერთეულები: მკაფიოდ განსაზღვრული ანგარიშვალდებულებისთვის.
- საჭირო რესურსები: ბიუჯეტის და სხვა ლოგისტიკური საჭიროებების ჩათვლით.

სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ აქტივობებს, რომლებიც პირდაპირ უზრუნველყოფენ სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ამოცანების მიღწევას. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებული დოკუმენტი უზრუნველყოფს ძლიერ საფუძველს, მაგრამ საჭიროებს გადამუშავებას. დეტალურ სამოქმედო გეგმაში თითოეული სტრატეგიული ამოცანისთვის მითითებული უნდა იყოს კონკრეტული აქტივობები, ზუსტი ვადები, პასუხისმგებელი პირები და რეალისტური ბიუჯეტები. აღნიშნული დეტალური აქტივობები აყალიბებს უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობის საფუძველს და წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების მიღწევის პრაქტიკულ მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმა იძლევა მიმართულებას, მხოლოდ კარგად დაგეგმილი, კონკრეტული აქტივობები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მოსალოდნელი შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მისია და მიზნები;
- სტრატეგიული განვითარების გეგემა (7 წლიანი გეგმა);
- 3 წლიანი სამოქმედო გეგმა;
- მისიის მონიტორინგი, სტრატეგია.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სტრატეგიული გეგმის კომპონენტები, მათ შორის SWOT ანალიზის ცვლადები (ფაქტორები) და სამოქმედო გეგმა, სიცხადის, თანმიმდევრულობის და მეთოდოლოგიური სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

- რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეები აქტიურად მონაწილეობდნენ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში - მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი მხარეები - იმისათვის, რომ გაძლიერდეს გეგმის რელევანტურობა, მიკუთვნებულობის განცდა და პრაქტიკული გამოყენება.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ხელმისაწვდომი რესურსების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობის და პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.

რჩევები:

–

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს ისდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ - ის ხელმძღვანელობა უსდ - ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ფაკულტეტებს, დეპარტამენტებს და მმართველ საბჭოებს, შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული ფუნქციები, რაც რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით და დებულებებით. ორგანიზაციული სტრუქტურა მკაფიოა ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, რაც დეტალურადაა ასახული დოკუმენტში „ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა". თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების დეპარტამენტის, რეესტრის და დიპლომის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის და პროექტების მართვის დეპარტამენტის დებულებები. გარდა ამისა, შემუშავებულია სამეცნიერო, შემოქმედებითი და საგამომცემლო დეპარტამენტის, ფინანსური სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ბიბლიოთეკას და აკადემიური პროცესის მართვის დეპარტამენტის მარეგულირებელი დოკუმენტები. დებულებები (უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება, განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დებულება, მუსიკის ფაკულტეტის დებულება, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულება) მკაფიოდ აღწერს უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიზნებს, ფუნქციებს, სერვისებს და პერსონალს.

უნივერსიტეტს აქვს 5 ძირითადი მმართველი ორგანო – აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები მოიცავენ სამ ფაკულტეტს, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

უნივერსიტეტის მმართველი და ადმინისტრაციული ორგანოები პოლიტიკის განსაზღვრით, ხარისხის უზრუნველყოფის ზედამხედველობით, რესურსების მართვით, პერსონალის და სტუდენტების განვითარების მხარდაჭერით და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობით უზრუნველყოფენ ეფექტურ აკადემიურ, სამეცნიერო, შემოქმედებით და ფინანსურ მართვას. თითოეულ ერთეულს განსაზღვრული აქვს განსხვავებული პასუხისმგებლობები, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მმართველობას, ოპერაციულ ეფექტურობას და მუდმივ გაუმჯობესებას.

ფაკულტეტები (სახვითი, სასცენო და კინო -ტელე ხელოვნების, მუსიკის, განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების) ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ცალკეული დეპარტამენტები მართავენ აკადემიურ, შემოქმედებით, კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობას, უზრუნველყოფენ აკადემიური პერსონალის შედეგების სტრატეგიულ პრიორიტეტებთან შესაბამისობას.

უნივერსიტეტის მმართველობის სისტემა უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას და მიზნების განხორციელებას. არჩეული მმართველი ორგანოების (აკადემიური, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოები) მრავალშრიანი სისტემა უზრუნველყოფს ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ორგანიზაციულ სტრუქტურაში ანგარიშვალდებულება განსაზღვრულია იერარქიულად, ხოლო სამართლიანი და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი არჩევნები იძლევა ლეგიტიმურობის და ჩართულობის გარანტიას. მმართველობის აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფენ ყველა დონეზე სტარტეგიული გადაწყვეტილებების ეფექტურად განხორციელებას.

მართალია, უნივერსიტეტი ეფექტიანად ახორციელებს სტრატეგიული განვითარების გეგმას და აქტიურად ერთვება რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში, სტრატეგიული მიზნების მიმართულებით პროგრესის შესახებ კომუნიკაცია უმეტესად შიდა და პროცედურულია. რეკომენდებულია, ანგარიშვალდებულებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გასაძლიერებლად, ბხსუ-მ შეიმუშაოს და დანერგოს სტრუქტურირებული მექანიზმები, რომ რეგულარულად გააცნოს სტრატეგიული მიღწევების, მიმდინარე ინიციატივებისა და შესრულების ინდიკატორების შესახებ სიახლეები სტუდენტებს, პერსონალს, პარტნიორებს და ფართო საზოგადოებას; ეს უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ინფორმირებულ ჩართულობას და ინსტიტუციური განვითარების კოლექტიურ პასუხისმგებლობას.

აქცენტი კეთდება უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის და მუდმივი გაუმჯობესების ინტეგრაციაზე. თითოეულ ფაკულტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც დაკავშირებულია როგორც ფაკულტეტთან, ისე უნივერსიტეტის ცენტრალურ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რაც უზრუნველყოფს აკადემიური ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას. აღნიშნულ სტრუქტურაში ჩაშენებულია შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები.

სტრატეგიული საქმიანობის განსახორციელებლად უნივერსიტეტი იყენებს ციფრულ ინფრასტრუქტურას. ელექტრონული აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის სისტემები ხელს უწყობს ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის ავტომატიზაციას, რაც ზრდის ეფექტიანობას, გამჭვირვალობას და კომუნიკაციას, რაც სტრატეგიული ინიციატივების ეფექტიან მონიტორინგს უზრუნველყოფს. დაწესებულება

საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას იყენებს; ამგვარად, შესაძლებელია კორესპოდენციის ციფრული რეგისტრაცია და ელექტრონული დოკუმენტაციის ნაკადის სტრუქტურული შენახვა, eflow პლატფორმის მეშვეობით. ამ ხელსაწყოების გამოყენება ხელს უწყობს ოპერაციულ გამჭვირვალობას, დროულობას და სანდოობას.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება ფაკულტეტებისგან, დეპარტამენტებისგან, მმართველი ორგანოებისგან და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისგან, უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შესრულება, მონიტორინგი და შენარჩუნება. გამჭვირვალე მმართველობის, ციფრული სისტემების, კვალიფიციური პერსონალის და მუდმივი შეფასების ინტეგრაცია უზრუნველყოფს, რომ ინსტიტუციური აქტივობები ხელს უწყობენ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მიზნების განხორციელებას.

დოკუმენტაციაში მკაფიოდ არის აღწერილი არჩევის და დანიშვნის პროცედურები, ხოლო გასაუბრებებით დადასტურდა განსაზღვრულ პროცედურებთან შესაბამისობა. პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანი, საჯარო და კანონთან შესაბამისი. მმართველი ორგანოები არჩეულია (აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკნები, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელები) წინასწარ განსაზღვრული და საჯარო კრიტერიუმების მიხედვით. არჩევნები ტარდება თავისუფალი და თანაბარი ფარული კენჭისყრით, რაც უზრუნველყოფს თანასწორობას და კონფიდენციალურობას. გამოყენებული პროცედურები შეესაბამება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ და უნივერსიტეტის შიდა დებულებებს („არჩევნების ჩატარების დებულება"). არჩევითი სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს მეშვეობით უზრუნველყოფილია სტუდენტების მონაწილეობა უნივერსიტეტის მმართველობაში. მკაფიოდ არის აღწერილი გადაწყვეტილების მიღების წესები (ქვორუმი და კენჭისყრა), რაც უზრუნველყოფს ლეგიტიმურობას და გამჭვირვალობას.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი აჩვენებს მკაფიო შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასთან და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებთან. მმართველი ორგანოების გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევის პროცედურები აძლიერებენ ინსტიტუციურ კეთილსინდისიერებას და ინკლუზიურობას. სტუდენტების ჩართვა უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობას და აკადემიურ თავისუფლებას.

- დაწესებულების საქმიანობის ეფექტური მართვის უზრუნველყოფის პროცესები განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების დებულებებში და რეგულაციებში. რექტორი არის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, წარმომადგენს უნივერსიტეტს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და ზედამხედველობს პოლიტიკების განხორციელებას. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მართავს ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს, უზრუნველყოფს ეკონომიკური ოპერაციების კანონთან შესაბამისობას და ეფექტურობას. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები ზედამხედველობენ სტრატეგიას, პოლიტიკის შემუშავებას და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტ შეფასებას, მონიტორინგს და გაუმჯობესებას. ფინანსური დეპარტამენტი მხარს უჭერს მდგრადობას და ფინანსურ გამჭვირვალობას, კოორდინაციას უწევს რესურსების განაწილებას სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად. ელექტრონული მართვის სისტემები გამოიყენება ადმინისტრაციის და აკადემიური პროცესების გასამარტივებლად, ხოლო ანგარიშვალდებულების მკაფიო ჩარჩო განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ყველა დონეზე, უზრუნველყოფს ეფექტურ კონტროლს და შესრულების მონიტორინგს. „ბიზნეს უწყვეტობის გეგმის" განსაზღვრავს ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფის მეთოდებს. გეგმა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის უწყვეტ ფუნქციონირებას მოულოდნელი ან შემაფერხებელი მოვლენების დროს. მისი ძირითადი მიზანია ერთიანი პროცედურების დანერგვა, რისკების და კრიზისის გავლენის შემცირება და აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების სწრაფი აღდგენა. გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის აკადემიურ საქმიანობას, საკომუნიკაციო სისტემებს, მონაცემთა მართვას, ადამიანური რესურსების მართვას და ინფრასტრუქტურას. ასევე, უზრუნველყოფს, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის სერვისების მიწოდებას შეზღუდული რესურსების პირობებშიც. გეგმა იძლევა რისკის, ალბათობისა და ზემოქმედების მკაფიო განმარტებას, რისკის მკაფიო კატეგორიებს, რისკის შეფასების სტრუქტურირებული მატრიცას და რისკების

კლასიფიკაციას მაღალი/საშუალო/დაბალი ალბათობისა და ზემოქმედების მიხედვით. არსებობს მინიჭებული პასუხისმგებლობების მკაფიო მონახაზი, რომელიც, შეფერხებების დროს, აძლიერებს ინსტიტუციურ მზადყოფნას.

გეგმაში წარმოდგენილია პრევენციული ქმედებები, კონტროლის მექანიზმები, შეფერხების პერიოდები და პოტენციური გაუმჯობესების სტრატეგიები, როგორც შემამსუბუქებელი ზომები. ეს არის დინამიური დოკუმენტი, რომელიც რეგულარულად ანახლდება ინსტიტუციური ან ტექნოლოგიური ცვლილებების საპასუხოდ.

შესაძლებელია ბიზნეს უწყვეტობის გეგმის გარკვეულწილად კიდევ უფრო გაუმჯობესება. გეგმა არ აკონკრეტებს, როდის და როგორ ამოქმედდება გეგმა და ვინ არის პასუხისმგებელი კრიზისული სიტუაციის ოფიციალურად გამოცხადებაზე. სასურველია თითოეული სერიოზული საგანგებო სცენარისთვის რეაგირების დეტალური პროცედურების შემუშავება და შეფერხებების დროს, საკომუნიკაციო პროტოკოლებისა და სტრატეგიების ხაზგასმა. ასევე სასარგებლო იქნებოდა აკადემიური სისტემების, კომუნიკაციებისა და IT სერვისების აღდგენის სამიზნე ვადების და მონაცემთა დაკარგვის მისაღები ზღვრების მითითება (მართალია, გეგმაში არის მითითებები შეფერხების ვადებზე, თუმცა ესენი არ არის ინტეგრირებული აღდგენის უფრო ფართო ჩარჩოში). მართალია, გეგმა რისკებს განსაზღვრავს, თუმცა არ არსებობს სტრუქტურირებული უწყვეტობის პროცედურები კონკრეტული მოვლენებისთვის, როგორიცაა კიბერშეტევები ან მონაცემში შეღწევა, სტიქიური უბედურებები, შენობის ხანგრძლივი მიუწვდომლობა, ეპიდემიები ან ელექტროენერგიის/ინტერნეტის ხანგრძლივი გათიშვა. სასურველია, ასეთი მოვლენებისთვის, სცენარზე დაფუძნებული გეგმების შემუშავება, რომ შესაძლებელი იყოს მყისიერი და კოორდინირებული რეაგირება.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმის განვითარების სხვა სფეროები მოიცავს, სწავლებისთვის უწყვეტობის სტრატეგიის შექმნას (როგორიცაა ონლაინ სწავლების სტრატეგიები, სწავლების ალტერნატიული ფორმატები, სასწავლო მართვის სისტემის უწყვეტობა და შეფასების უწყვეტობის სტრატეგიები). ამასთან, მართალია ტექნოლოგიური რისკები იდენტიფიცირებულია, თუმცა შეზღუდულია დეტალები სარეზერვო ასლების შექმნის სიხშირესთან, ობიექტის გარეთ ან ღრუბელზე დაფუძნებული სარეზერვო ასლების შექმნის სისტემებთან, კიბერუსაფრთხოების პროტოკოლებთან ან სერვერებისა და მონაცემთა ბაზების კატასტროფის შემდგომი აღდგენის პროცედურებთან დაკავშირებით.

საერთო ჯამში, ბიზნესის უწყვეტობის გეგმა ავლენს ძლიერ სტრუქტურულ და კონცეპტუალურ საფუძველს, მოიცავს ყველა ძირითად რისკ-კატეგორიას და ძირითად ინსტიტუციურ პროცესს, თუმცა გეგმა ფოკუსირებულია რისკების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ზომებზე; არასაკმარისადაა წარმოდგენილი დეტალები ოპერაციული რეაგირების, შეფერხების დროს უწყვეტობის, აღდგენის სტრატეგიებისა და კომუნიკაციის პროტოკოლების შესახებ.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სტრუქტურა ხელს უწყობს ეფექტურ მართვას მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობების, ციფრული პროცესების გამოყენების და ძლიერი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის მეშვეობით. მმართველობის მოდელი აერთიანებს ცენტრალიზებულ ზედამხედველობას დეცენტრალიზებულ განხორციელებასთან, უზრუნველყოფს მოქნილობას და ანგარიშვალდებულებას.

დაწესებულება აწარმოებს სათანადო ჩანაწერებს და სამართლებრივი ვალდებულებების დაცვით ამუშავებს საჩივრებს „რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილების მეშვეობით“, რომელიც უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას დროულად წარუდგენს აუცილებელ მონაცემებს (ეს ასახულია რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილების დებულებაში). ოფიციალური დოკუმენტების, მათ შორის დიპლომები და სერტიფიკატების, გაცემა და რეგისტრაცია ხორციელდება კანონის მოთხოვნების შესაბამისად. აღრიცხვა ხდება სათანადო დოკუმენტებითა და ადმინისტრაციული განყოფილებების შიდა პროცესებით.

ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს ძირითად სტრატეგიულ პრიორიტეტს და მკაფიოდ არის ინტეგრირებული სტრატეგიულ გეგმაში და 3 წლიან სამოქმედო გეგმაში. 2024 წლიდან სრულ განაკვეთზე დანიშნულია საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, რომელიც კოორდინაციას უწევს საერთაშორისო

თანამშრომლობას და აკადემიური მობილობის პროგრამებს, რაც ადასტურებს საერთაშორისო განვითარების მიმართ დაწესებულების ვალდებულებას.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მხარს უჭერს მისიას, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, ასახავს უნივერსიტეტის ძირითად მიზნებს, რომლებიც მოიცავენ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესიულ კონსორციუმებთან პარტნიორობის განვითარებას, სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო აკადემიური მობილობის ხელშეწყობას, საერთაშორისო პროფესორებთან, ხელოვანებთან და მკვლევრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას, გლობალურ კვლევით მონაცემთა ბაზებზე წვდომის გაფართოებას, Erasmus+ და სხვა გაცვლითი ან გრანტით დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭერას და უნივერსიტეტის გლობალური ხილვადობის გასაძლიერებლად საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას. პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებული გეგმები ფოკუსირებულია საერთაშორისო თანამშრომლობაზე ვიზიტების, მემორანდუმების და ერთობლივი პროექტების მეშვეობით, საერთაშორისო კონფერენციების, საზაფხულო სკოლების და ფესტივალების მასპინძლობაზე და მონაწილეობაზე, უცხოელი ექსპერტების მოწვევაზე ლექციების და სემინარების ჩასატარებლად, საერთაშორისო მეცნიერებთან ერთად კვლევის გამოქვეყნებაზე და გლობალურ საბიბლიოთეკო ქსელებში გაწევრიანებაზე, უცხოენოვანი სასწავლო კურსების და საერთაშორისო სტუდენტებზე მორგებული პროგრამების შემუშავებაზე. გარდა ამისა, ერთ - ერთი მიზანია საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისების უზრუნველყოფა აკადემიური მობილობის, დაფინანსების და ენის სწავლებისთვის.

უნივერსიტეტი ინარჩუნებს პარტნიორობას და მემორანდუმებს 11 ქვეყნის 18 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და მონაწილეობს 60 საერთაშორისო თანამშრომლობით პროექტში. უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული Erasmus+ აკადემიური მობილობის პროგრამებში ესპანეთის, ლატვიისა და თურქეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს CARTES - თან (ესპანეთის ხელოვნების სკოლების კონსორციუმი), რაც ხელს უწყობს სტუდენტების და პერსონალის აკადემიურ მობილობას. გარდა ამისა, აჭარის განათლების ფონდთან პარტნიორობა აძლიერებს უცხო ენების ცოდნას და პროფესიულ განვითარებას. სხვა საერთაშორისო პროექტები მოიცავენ პერსონალის და სტუდენტების გაცვლას, ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს, საერთაშორისო კონფერენციებს და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ინიციატივებს. დაწესებულების ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს საერთაშორისო აქტიოვობების ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, შეუსაბამებს მათ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრულ და საგანმანათლებლო მისიასთან.

სტრატეგიული გეგმების მიხედვით, ინტერნაციონალიზაცია პრიორიტეტულია და აქტიური პარტნიორობების რაოდენობა და მზარდი აკადემიური მობილობის პროგრამები აჩვენებს ხელმძღვანელობის გლობალური ჩართულობის ვალდებულებას. მნიშვნელოვანია ისეთი გამოწვევები, როგორიცაა ენობრივი ბარიერი და შეზღუდული დაფინანსება, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს უზრუნველყოს უწყვეტი პროგრესი სტრატეგიული განვითარების ამ მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების წესდება;
- დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- დაწესებულების საქმისწარმოების სახელმძღვანელო;
- დაწესებულების შიდა რეგულაციები;
- დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა;
- დაწესებულების არჩევის პროცედურების რეგულაცია;
- დაწესებულების აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსების ჩატარების წესი;
- ეთიკის კოდექსი;
- დაწესებულების მონაწილეობით განხორციელებული სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტები;
- უნივერსიტეტი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა;
- უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობის მონიტორინგის წესი;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- სსიპ - აჭარის განათლების ფონდთან გაფორმებული მემორანდუმი;
- დაწესებულების ვებ - გვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს მექანიზმები სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიმართ უნივერსიტეტის პროგრესის შესახებ რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სტუდენტებთან, თანამშრომლებთან, პარტნიორებთან და ფართო საზოგადოებასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ანგარიშვალდებულება, ჩართულობა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემუშავება, რათა განისაზღვროს გეგმის აქტივაციის პროცედურები და მხარეთა როლები კრიზისის გამოცხადებისას.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში შემუშავდეს კონკრეტული კომუნიკაციის პროტოკოლები და პასუხისმგებლობები.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემდგომი განვითარება, რათა განისაზღვროს აღდგენის სამიზნეები, აღდგენის ჩარჩო, აკადემიური უწყვეტობის გაუმჯობესებული დაგეგმვა, უკეთესი ტექნოლოგიური და მონაცემთა დაცვის ზომები.

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგიები, რომლებიც სტუდენტებს და პერსონალს წაახალისებს უფრო აქტიურად ჩაერთონ ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებში.

- სასურველია, უნივერსიტეტმა რეგულარულად შეაფასოს უსდ-ში განხორციელებული ინგლისური ენის კურსების ხარისხი და გავლენა უკუკავშირის, შესრულების მეტრიკების და მობილობის შედეგების საფუძველზე და მიგნებების შესაბამისად განახორციელოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები.

- სასურველია, უნივერსიტეტმა მოიძიოს მობილობის ინიციატივების ახალი პოტენციური დაფინანსების შესაძლებლობები, მათ შორის მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები, სტაჟირებები, კვლევითი ვიზიტები და თანამშრომლობითი პროექტები სხვადასხვა აკადემიური და პროფესიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

- სასურველია, რომ ბიზნესის უწყვეტობის გეგმა შემუშავდეს ისე, რომ მოიცავდეს სცენარზე დაფუძნებულ პროცედურებს.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის დებულებების და საერთაშორისო სტანდარტების (ბოლონიის პროცესი, ევროკომისია, UNESCO, ევროპის საბჭო) შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია სწავლების, შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასებაზე. სამსახური მონიტორინგს უწევს და აფასებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას და აანალიზებს შეფასებებს, ამზადებს რეკომენდაციებს, აკვირდება საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სამეცნიერო პროცესებს, რესურსებს და სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელებას.

რაც შეეხება დამხმარე დოკუმენტაციას, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა განსაზღვრავს მკაფიო პრინციპებს, რომლებიც ფოკუსირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე, კვალიფიციურ პერსონალზე, ინტერნაციონალიზაციაზე და უწყვეტ შეფასებაზე. დამხმარე დოკუმენტები, როგორიცაა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება" და „ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა" უზრუნველყოფენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განხორციელების დეტალურ სახელმძღვანელოს და თანმიმდევრულ ჩარჩოს.

აკადემიური საბჭო ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, რაც აჩვენებს უმაღლესი დონის ხელმძღვანელობის ჩართულობას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაში და მონიტორინგში. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, განამტკიცებს ხარისხის კულტურის დამკვიდრების ინსტიტუციურ ვალდებულებას. თითოეულ ფაკულტეტზე არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობის დელეგირებას და ხარისხის უწყვეტი მონიტორინგის განხორციელებას. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გაწერილი დებულებებში და დადგენილებებში („განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დებულება", „სახვითი, სასცენო და კინო - ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დადგენილება", „მუსიკის ფაკულტეტის დებულება"). მათი პასუხისმგებლობაა ფაკულტეტის ფარგლებში აკადემიური, კვლევითი და პროფესიული საქმიანობის ხარისხის შენარჩუნება და განვითარება. ისინი წარმოადგენენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილს და იცავენ უნივერსიტეტის დებულებას და შიდა რეგულაციებს.

თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია რეგულარულად შეაფასოს და განაახლოს საგანმანათლებლო პროგრამები უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების და ფაკულტეტის საჭიროებების საფუძველზე. თითოეულ ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ოთხი წლის ვადით და პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, სამუშაო გეგმების შემუშავებაზე, განხორციელების კოორდინაციაზე და უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში სამსახურის წარმომადგენლობაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომებში უნივერსიტეტი იყენებს PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლს, ამკვიდრებს უწყვეტი რეფლექსიის, შეფასების და განვითარების კულტურას აკადემიურ და

ადმინისტრაციულ საქმიანობაში. რეგულარულად ტარდება სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურობას და რეაგირებას. დაგეგმილია ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც აჩვენებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელების პროაქტიულ მიდგომას მონიტორინგის, გამჭვირვალობის და ეფექტურობის გაძლიერების მიმართ.

უნივერსიტეტის მმართველობის ეფექტურობის მონიტორინგის წესით დადგენილია მმართველობის ეფექტურობის შეფასების სისტემატური მექანიზმი. მონიტორინგის პროცესის ძირითადი ეტაპები მოიცავენ კითხვარების მომზადებას, თანამშრომლების ანონიმური გამოკითხვების ჩატარებას, შეგროვებული მონაცემების ანალიზს, ანალიტიკური დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებას და მოქმედებას. სტრუქტურული ერთეულების მიერ შევსებული კითხვარების ძირითადი ფოკუსი მიმართულია თანამშრომლების პრიორიტეტებზე და კმაყოფილებაზე უნივერსიტეტის მმართველობით, თანამშრომლების აღქმის ინსტიტუციურ მიზნებთან შესაბამისობაზე, ადმინისტრაციულ ეფექტურობაზე და მმართველობის შეფასებაზე. შეფასების ინსტრუმენტები ორიენტირებულია უნივერსიტეტის გარემოში თანამშრომლების პრიორიტეტებზე, მმართველობითი ფუნქციებით და პოლიტიკით კმაყოფილებაზე და თანამშრომლების შესრულების შეფასებაზე (დისციპლინა, სამუშაოს ხარისხი, ცოდნა, კომუნიკაცია, ლოიალურობა). მიდგომების ძირითადი ფოკუსია მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასება, პერსონალის უკუკავშირი და მუდმივი გაუმჯობესება.

დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება" ხაზგასმულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტი, კერძოდ შედეგების ხარისხი (სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები), პროცესების ხარისხი (სწავლება, სწავლა და ადმინისტრაციული პროცედურები) და პირობების ხარისხი (რესურსები, ინფრასტრუქტურა და გარემო). უნივერსიტეტი იყენებს წლიურ შეფასებებს და ანგარიშგების პროცედურებს.

ყოველწლიურად ხორციელდება თითოეული სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასება, რომელიც ფოკუსირებულია აკრედიტაციის / ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე, სისუსტეების გამოვლენაზე და მაკორექტირებელ ქმედებებზე. პროცესი მოიცავს გამოკითხვებს, გასაუბრებებს და პერსონალის, სტუდენტების და დამსაქმებლების უკუკავშირს. შედეგები შეჯამებულია წლიურ თვითშეფასების ანგარიშში. გადაწყვეტილების მისაღებად შეფასების პროცესის მონიტორინგი იყენებს SWOT ანალიზს და PDCA ციკლს.

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ყოვლისმომცველია, შესაძლებელია უფრო დეტალური რაოდენობრივი შესრულების ინდიკატორების შემუშავება გრძელვადიანი გავლენის გასაზომად. ასევე, მიუხედავად იმისა, ხარისხის უზრუნველყოფა მკაფიოდ არის ინტეგრირებული სტრატეგიულ გეგმაში, შესაძლებელია შემუშავდეს უფრო თვალსაჩინო ხელმძღვანელობის ინიციატივები ხარისხის კულტურაში ინოვაციის ხელშეწყობის მიზნით (მაგალითად, პროფესიული განვითარების პროგრამები, ხარისხის გაუმჯობესების წამახალისებელი აქტივობები). გარდა ამისა, ხარისხის მიზნებზე უფრო მკაფიო ინფორმაციის მიწოდებამ შეიძლება გააძლიეროს პერსონალის და სტუდენტების ჩართულობა.

დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები ხაზს უსვამს პერსონალს და სტუდენტებს შორის ხარისხის საერთო ხედვის და ცნობიერების მნიშვნელობას, აქცენტს აკეთებს თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე. დაინტერესებული მხარეების ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ხელს უწყობს პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას. დოკუმენტაციაში ინფორმაცია „ხარისხის კულტურის" შესახებ ძირითადად პროცედურულია და აღნიშნული კულტურის გაღრმავების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს რეფლექსიურ პრაქტიკებს, დეპარტამენტთაშორის სწავლას და ხარისხიანი წვლილის აღიარების სისტემებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტმა დანერგა ძლიერი და სტრუქტურირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ახორციელებს ეფექტურ მონიტორინგს და აძლიერებს საგანმანათლებლო პროცესებს. დაწესებულების ხელმძღვანელობამ წარმატებით ჩააშენა ხარისხის უზრუნველყოფა სტრატეგიულ დაგეგმვაში და მიაღწია გაზომვად შედეგებს, მათ შორის პროგრამების რეაკრედიტაციას და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების გაუმჯობესებას.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, რაც აჩვენებს ინსტიტუციური დონის დაგეგმვას და ზედამხედველობას. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ითვალისწინებს აკადემიური და მხარდამჭერი ობიექტების ხელმისაწვდომობას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, პროგრამის მოთხოვნებს და ტენდენციებს, სტუდენტის სტატუსის მაჩვენებლებს (აკადემიური მობილობა და შეჩერება), მონაცემებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ და შრომის ბაზრის კვლევას. აღნიშნული პარამეტრები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელი შეესაბამება ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და პროგრამის აქტუალობას. „სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის" მიზანია შეინარჩუნოს სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობა, იმისათვის, რომ დაიცვას და გააძლიეროს განათლების ხარისხი, რაც შეესაბამება სტანდარტს.

სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის გარდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, განხორციელებული შეფასებების ფარგლებში ახორციელებს მონაცემების შეგროვებას და მიღებული მონაცემების საფუძველზე სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის კორექტირებას, რაც უზრუნველყოფს რეაგირებას შესრულებასა და რესურსებზე.

წესი ადგენს სტუდენტების ჩარიცხვის ფორმალურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას და პროცესში ჩართულია მრავალი ორგანო (ფაკულტეტის საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიური პროცესის მართვის სამსახური, რეესტრის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი). აღნიშნული უზრუნველყოფს საერთო მმართველობას და ზედამხედველობას. წლიური შეფასება და კორექტირება უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს რეაგირება მოახდინოს რესურსების და მოთხოვნის ცვლილებებზე. სტუდენტების მიღება მკაფიოდ არის დაკავშირებული მატერიალურ, ტექნიკურ და ადამიანურ რესურსებთან. ცვლილებები ეფუძნება სწავლების, სწავლის შედეგების და სტუდენტების ჩართულობის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.

სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრისას უნივერსიტეტი იყენებს მონაცემებზე და პოლიტიკაზე დაფუძნებულ მექანიზმს. აღნიშნული უზრუნველყოფს, რესურსების, პერსონალის და ხარისხის სტანდარტების ბალანსს. სტუდენტების მიღების მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს სამართლიანობას და მდგრადობას. თუმცა, დადგენილი უნდა იყოს რესურსების გამოყენების უფრო დეტალური რაოდენობრივი ზღვრები და სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული პროგრამების მიხედვით. სასურველია, მისაღები სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს პროგრამების მიხედვით, რესურსების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობის, სასწავლო ინფრასტრუქტურის და პროგრამის მოთხოვნები შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რაოდენობა მკაფიოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული და განხორციელდეს პერიოდული გადასინჯვა მონაცემებზე დაფუძნებული ცვლილებების განსახორციელებლად, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან შესაბამისობას და სტუდენტების ძლიერი აკადემიური და შემოქმედებითი შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების წესდება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- მუსიკის ფაკულტეტის დებულება;
- ვიზუალური, საშემსრულებლო და კინო - ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულება;
- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- კმაყოფილების კვლევის შეფასების პროცედურა;
- უნივერსიტეტის საქმიანობის თვითშეფასების ფორმა;
- გამოკითხვის ფორმები – კითხვარის ნიმუშები;
- PDCA "უწყვეტი გაუმჯობესების ციკლი";
- სტუდენტური კონტინგენტის განსაზღვრის წესი;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის სამუშაო გეგმა;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დოკუმენტურად ასახოს და ყოველწლიურად გადახედოს მისაღები სტუდენტების რაოდენობის ზღვრებს, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის განათლებაზე და სწავლის შედეგებზე.

რჩევები:

- სასურველია, სწავლის შედეგების და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების უწყვეტი მონიტორინგის მიზნით, შემუშავდეს რაოდენობრივი, მონაცემებზე დაფუძნებული მეტრიკები (ძირითადი შესრულების ინდიკატორები).
- სასურველია, პერსონალის ჩართულობის და ინსტიტუციური ვალდებულების გასაძლიერებლად შემუშავდეს ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივები რეგულარული სამუშაო შეხვედრების, მენტორული სესიების და აღიარების პროგრამების გამოყენებით, რომლებსაც ზედამხედველობას გაუწევენ ხელმძღვანელები.
- სასურველია, დაინერგოს ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობის პლატფორმები ერთობლივი პროექტების, დეპარტამენტთაშორისი სასწავლო სესიების და რეფლექსიური პრაქტიკის ფორუმების ორგანიზებით, რაც დეპარტამენტებს შორის წაახალისებს ცოდნის გაზიარებას და უწყვეტ განვითარებას.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გამჭვირვალე ეთიკის კოდექსი, რომელიც ხელს უწყობს ინსტიტუციურ კეთილსინდისიერებას, ანგარიშვალდებულებას და ინკლუზიურობას. ეთიკის კოდექსი ვრცელდება უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარეზე - აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე, მოწვეულ ლექტორებზე და სტუდენტებზე. კოდექსი განსაზღვრავს პროფესიული ქცევის, კეთილსინდისიერების, სამართლიანობის და ურთიერთპატივისცემის სტანდარტებს. ეთიკის კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და საზოგადოების ცნობიერებას. კოდექსში ხაზგასმულია ინკლუზიურობის მნიშვნელობა ეთნიკური კუთვნილების, გენდერის, რელიგიის ან სოციალური წარმოშობის მიუხედავად, განამტკიცებს ინსტიტუციურ კეთილსინდისიერებას და სამართლიანობას. პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ხელმოწერით დაეთანხმონ ეთიკის კოდექსის დაცვას.

ეთიკის კოდექსი განსაზღრავს მკაფიო განხორციელების და აღსრულების მექანიზმებს. შრომით და სტუდენტურ ხელშეკრულებებში მკაფიოდ არის ინტეგრირებული ეთიკური ვალდებულებები. ეთიკის კოდექსის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რომელსაც განიხილავს დისციპლინური კომისია და განსაზღვრავს მკაფიო სანქციებს (შენიშვნა, საყვედური, ხელშეკრულების შეწყვეტა/შეჩერება).

კომისიის სტრუქტურა და პროცედურები მკაფიოდ არის აღწერილი ეთიკის კოდექსში და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებში, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას და შესაბამის პროცესებს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის პრევენციის და რეაგირების წესი, რომელიც ინტეგრირებულია ეთიკის კოდექსში და მხარდაჭერილია დისციპლინური მექანიზმებით. განსაზღვრულია პლაგიატის მრავალი ფორმა (პირდაპირი, უყურადღებობით, მოზაიკური, თვითპლაგიატი, გაყალბება, საავტორო უფლებების დარღვევა), რაც უზრუნველყოფს სიცხადეს შესრულებაში და განათლებაში. 2019 წლიდან უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის გამოვლენის სერვისებს საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმის მეშვეობით და ასრულებს ხელშეკრულების გაფორმებას საერთაშორისო პლაგიატის საწინააღმედგო სოსტემა TURNITIN - თან.

უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის პრევენციის ღონისძიებებს. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს სასწავლო გეგმაში ისეთი კურსების ინტეგრაციას, როგორიცაა აკადემიური წერა და სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში, რომლის ფარგლებშიც ისწავლება ციტირება, საავტორო უფლებები და პლაგიატის საწინააღმდეგო საკითხები. აკადემიური წერა წარმოადგენს უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო კურსს, ხოლო კურსი სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში ისწავლება მხოლოდ აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამებზე. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებისთვის მოთხოვნილია ხელმოწერილი დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ ნაშრომში არ ფიქსირდება პლაგიატი. გარდა ამისა, ხელმძღვანელებს ევალებათ განუმარტონ სტუდენტებს ციტირების და წყაროების გამოყენების წესები. უნივერსიტეტი ასევე, ცნობიერების ამაღლების მიზნით ატარებს საინფორმაციო სესიებს და პერსონალს და სტუდენტებს აწვდის შესაბამის მასალებს.

ეთიკის კოდექსის დარღვევის თვალსაზრისით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ეთიკის კომისია, რომელიც განიხილავს ეთიკის გადაცდომის საკითხებს და აწესებს სანქციებს. აღნიშნული კომისია ჩამოყალიბდა აკადემიური საბჭოს მიერ რექტორის რეკომენდაციის საფუძველზე და კომისიის საქმიანობის პროცედურები მკაფიოდ განისაზღვრა ეთიკის კოდექსში და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად განვითარდა პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და ცნობიერების ამაღლების მიმართულებები, არსებობს დამატებითი შესაძლებლობები, რომლებიც განავითარებენ საუკეთესო აკადემიური პრაქტიკის მიდგომებს. პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებით გამოავლინდა, რომ უნივერსიტეტში არ არის დადგენილი მკაფიო ერთიანი ციტირების სტილი. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს და გამოყენებულ იქნეს ერთიანი სისტემა. აღნიშნული შექმნის მიდგომის სიცხადეს, რაც დაწესებულებას მისცემს მეტ საშუალებას, უზრუნველყოს მითითებების ჩაშენება და ინტეგრირება უნივერსიტეტში. აკადემიური წერის და კულტურის სფეროში სამართლებრივი აქტების სასწავლო კურსების დამატება წარმოადგენს პროგრამებში ციტირების, საავტორო უფლებების და პლაგიატის საწინააღმდეგო საკითხების დამატების ეფექტურ გზას. უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული სასწავლო კურსების დამატება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში. საგანმანათლებლო პროგრამებში Turnitin - ის განვითარება და გამოყენება გააძლიერებს პლაგიატის გამოვლენას. Turnitin - ის ეფექტური დანერგვის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა ჩაატაროს სავალდებულო ტრენინგი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის მისი გამოყენების და მსგავსების ინტერპრეტაციის შესახებ. დანერგვის შემდეგ სასურველია შემუშავდეს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოს, რომ წარდგენილი წერითი დავალებების 100% შემოწმდება Turnitin-ის მეშვეობით საბოლოო წარდგენამდე.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში, დებულებებში და შიდა რეგულაციებში აკადემიური თავისუფლება იდენტიფიცირებულია როგორც მმართველობის ძირითადი პრინციპი. რაც შეეხება პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას, ყველა აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს დამოუკიდებლად ასწავლოს, განახორციელოს კვლევები და გამოაქვეყნოს, აირჩიოს სწავლების მეთოდები, შინაარსი და მასალები და პროგრამის ფარგლებში შეიმუშაოს და შეცვალოს სასწავლო კურსის სილაბუსები. სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით, სტუდენტებს უფლება აქვთ თავისუფლად გამოხატონ მოსაზრებები და წარადგინონ იდეები, შეაფასონ სწავლების ხარისხი, პერსონალი, მიიღონ თანაბარი სწავლის და მატერიალური რესურსები და უარი თქვან მათ რწმენასთან შეუსაბამო იდეების მიღებაზე, აკადემიური დასაბუთების ფარგლებში. უნივერსიტეტი ამტკიცებს დაბალანსებულ რეგულაციებს აკადემიური თავისუფლების გონივრულ

შეზღუდვებთან დაკავშირებით (მაგალითად, ცხრილის დამტკიცება და სასწავლო გეგმის სტრუქტურა), რომლებიც მკაფიოდ არის განსაზღვრული ინსტიტუციური შესაბამისობის და განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტი მკაფიოდ კრძალავს ცენზურას ან ადმინისტრაციულ ჩარევას, რამაც შეიძლება შეზღუდოს გამოხატვის ან კვლევის თავისუფლება. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი იცავს აკადემიურ თავისუფლებას მკაფიო სამართლებრივი, პროცედურული და კულტურული გარანტიების მეშვეობით, რომლებიც პერსონალს და სტუდენტებს აძლევს უფლებას ჩაერთონ თავისუფალ კვლევაში, შემოქმედებითობაში და გამოხატვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების წესდება;
- ეთიკის კოდექსი;
- დაწესებულების შიდა რეგულაციები;
- პლაგიატის თავიდან აცილების და რეაგირების წესი;
- აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მუსიკის ფაკულტეტის დებულება;
- ვიზუალური, საშემსრულებლო და კინო - ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულება;
- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პლაგიატის გამოვლენის ძირითადი ინსტრუმენტის სახით უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამებში Turnitin - ის სისტემატური გამოყენება.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სავალდებულო ტრენინგი Turnitin - ის გამოყენებასთან და მსგავსების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომ ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი შემოწმდეს მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით.

რჩევები:

- სასურელია, სიცხადის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული იყოს ერთიანი მითითების / ციტირების სტილი.

- სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში" დამატების შესაძლებლობა.

- სასურველია, უნივერსიტეტმა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშაოს პლაგიატის და მისი სხვადასხვა ფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მექანიზმები.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი მისიის, მიზნებისა და ხედვის შესაბამისად ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვი, შემუშავების და განვითარების წესი" (უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის ქართულენოვანი ვერსია განსხვავდება ინგლისურენოვანი ვერსიისგან). დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების საკითხი განისაზღვრება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით და აბიტურიენტების და შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და სააკრედიტაციოდ მომზადების პროცედურებს: საწყის ეტაპზე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანი რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას (პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით). საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას ზედამხედველობს პროგრამის ხელმძღვანელი. სამუშაო ჯგუფი მოქმედებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სტანდარტებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობას. შემდგომში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს და იღებს გადაწყვეტილებას მისი მიზანშეწონილობის თაობაზე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან და მის საერთო მიზანშეწონილობას, შემდეგ კი დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. დამტკიცების შემდეგ პროგრამა გადის აკრედიტაციის პროცედურებს. აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამაზე ცხადდება სტუდენტების მიღება. პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ტარდება წლიური შეფასება, რომელიც დასაბუთებულია დაწესებულების მიერ განხორციელებული გამოკითხვებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშებით და პროგრამების მიხედვით სტუდენტების და სასწავლო კურსის რეიტინგული ქულების მონაცემებით. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით პროგრამაში ხორციელდება ცვლილებები. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების ან გაუქმების შემთხვევაში, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გააგრძელონ სწავლა მოდიფიცირებულ პროგრამაზე, აირჩიონ მომიჯნავე ან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამა, ან ისარგებლონ მობილობით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. გარდა ამისა, თუ მოდიფიცირებული პროგრამა მოითხოვს დამატებითი სასწავლო კურსების გავლას, სტუდენტები თავისუფლდებიან აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების საფასურის გადახდისგან. ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაინტერესებული მხარეები, მათ შორის პროგრამის განმახორციელებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, მონაწილეობენ პროგრამის შემუშავების, შეფასების და გადახედვის პროცესებში. გარდა ამისა, დადებით ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზოგიერთი დამსაქმებელი ამავდროულად ჩართულია პროგრამის განხორციელებაში.

აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, დოკუმენტი საჭიროებს გაუმჯობესებას. რეკომენდებულია, დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს თითოეული ეტაპი:

- **საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა** (დაგეგმვის საფუძველი არ უნდა იყოს მხოლოდ სტუდენტების პრიორიტეტები და შრომის ბაზრის მოთხოვნები, როგორც ეს აღნიშნულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში. პროგრამა შეიძლება დაიგეგმოს უმაღლესი განათლების მმართველი პირების გადაწყვეტილებებით, საქართველოს კანონმდებლობით და / ან უცხო ქვეყნების კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და ა.შ).

- **საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება** (დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ეტაპები, რომლის დროსაც განისაზღვრება ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროგრამის განათლების დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ენა, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, დანართები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები და დაწესებულების მიერ დადგენილი დამატებითი ეტაპები).

- **საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება** (დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია, მათ შორის სტუდენტების დასწრების და ჩართულობის შეფასება, აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, პროგრამიდან გასვლის და დასრულების მაჩვენებლებიკურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ და აკადემიურ განვითარებაზე (მათ შორის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი), ადგილობრივ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შედარება, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციები და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები. დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს პროგრამის განვითარების შესაძლებლობები, მოდიფიცირების დეტალური საფუძველი და ეტაპები).

- **საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება** (დოკუმენტში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული პროგრამის გაუქმების საფუძვლები და პროცედურები).

- **სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება** (პროგრამის მოდიფიცირების ან გაუქმების შემთხვევაში დოკუმენტში უნდა განისაზრვროს სტუდენტების ინფორმირების და მხარდაჭერის მექანიზმები, სწავლის შეუფერხებლად დასრულების უზრუნველსაყოფად).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, პროგრამის განვითარების მიზნით შედეგების გამოყენების ანგარიშები;
- პროგრამების მიხედვით სტუდენტების / სასწავლო კურსების რეიტინგული ქულა (2024-2025);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში (2024-2025);
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების" დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს თითოეული ეტაპი: საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, შეფასება და განვითარება, გაუქმება და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი პროგრამების შემუშავებისას ითვალისწინებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო პრინციპებს, საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის რეგულაციებს.

უნივერსიტეტი ახორციელებს მე-6 და მე-7 დონის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები), ასევე მასწავლებლის მომზადების ერთწლიან, 60 კრედიტიან პროგრამებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის დარგში (სერტიფიკატის მინიჭების შესაძლებლობით).

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ინდივიდუალური პროგრამების სწავლის შედეგები ეფუძნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამები: „არქიტექტურა", „მოდის დიზაინი", „აუდიოვიზუალური ხელოვნება". სამაგისტრო პროგრამები: „ტანსაცმლის დიზაინი", „სამუსიკო შემსრულებლობა" და სხვა.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს კომპონენტებს შორის ლოგიკურ კავშირს და ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის სპეციფიკურ მახასიათებლებს და მოთხოვნებს. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი საშუალებას აძლევს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტებს გონივრულ ვადაში მიაღწიონ მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. აღნიშნული დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშებით, პროგრამების მიხედვით სტუდენტების რეიტინგული ქულების მონაცემებით და სასწავლო პროცესით სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანალიზით (2019–2024). ამავდროულად, კურსის სილაბუსების შესწავლისას, ზოგიერთ შემთხვევაში გამოიკვეთა ტექნიკური უზუსტობები. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამის სილაბუსში „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)" სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს მითითებებს, რომლებიც ეხება საბაკალავრო პროგრამას / ნაშრომს; სამაგისტრო პროგრამის „ტანსაცმლის დიზაინის" სილაბუსში, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ნაწილში მითითებულია, რომ „სტუდენტმა უნდა შეცვალოს საბაკალავრო ნაშრომი"; სამაგისტრო პროგრამის „ხელოვნების მენეჯმენტის" სილაბუსში, სამაგისტრო ნაშრომის მიზნებში მითითებულია, რომ „ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს" და ა.შ. შესაბამისად, სასურველია, რომ დაწესებულებამ გადახედოს ყველა სილაბუსს და აღმოფხვრას გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, სულ მცირე 120 კრედიტი განსაზღვრულია სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი ინტერესების შესაბამისად აირჩიონ დამატებითი სპეციალიზაციები, არჩევითი ბლოკები ან არჩევითი კურსები. სამაგისტრო პროგრამების საერთო მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს (გარდა ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისა, რომელიც მოიცავს 60 კრედიტს და აკრედიტებულია 2024 წელს).

სამაგისტრო პროგრამების კრედიტების საერთო რაოდენობა (120 ან 60 კრედიტი) მოიცავს როგორც სპეციალობის ძირითად კურსებს, ისე არჩევით კურსებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, დამატებითი სპეციალობის ან არჩევით კურსებზე რეგისტრაციის მიზნით სტუდენტი მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს. თუ დამატებით პროგრამაზე ან არჩევით კურს(ებ)ზე სტუდენტების რაოდენობა აღემატება პროგრამით განსაზღვრულ კვოტას, ფაკულტეტი აწესებს პროგრამაზე მიღების მოთხოვნებს. დეკანის რეკომენდაციის საფუძველზე, რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს სტუდენტის დამატებით სპეციალობაზე მიღების შესახებ. დამატებითი სპეციალობის ფარგლებში სტუდენტის მიერ არჩეული კურსები / მოდულები ასევე აისახება სტუდენტის ხელშეკრულებაში. თუ დამატებით სპეციალობაზე სტუდენტების რაოდენობა დადგენილ მინიმუმზე დაბალია, სტუდენტმა უნდა აირჩიოს სხვა დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი კურსები. სტუდენტებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, სტუდენტები არჩევით კურსებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელისგან იღებენ კონსულტაციებს და ირჩევენ კურსს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუმცა, სასურველია, რომ დაწესებულებამ შეიმუშავოს კომპონენტების არჩევის მკაფიოდ განსაზღვრული წესი, რომელშიც მითითებული იქნება როდის და რა ვადაში უნდა გააკეთოს სტუდენტმა თავისი არჩევანი, უნივერსიტეტის მიერ მიღებული ზომები იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა არ აირჩია საგანი დადგენილ ვადაში, სტუდენტების განსაზღვრული რაოდენობა, რომელის მიუღწევლობის შემთხვევაშიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს სხვა დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი კურსები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამებში კომპონენტების მოცულობა განისაზღვრება მათი შინაარსის, სწავლის შედეგების და დარგის სპეციფიკური მოთხოვნების საფუძველზე. სწავლება / სწავლის მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს.

დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონული სერვისის მეშვეობით, სტუდენტს საკუთარ გვერდზე შეუძლია გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას და სილაბუსებს, ასევე სხვა ინფორმაციას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე: https://www.batu.edu.ge/sub-15/program/2/index.html და შესაბამისი ფაკულტეტების ვებ - გვერდებზე, სადაც ასევე მოცემულია სამაგისტრო პროგრამების აღწერილობები. ვებ - გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის განახლება ხორციელდება პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების სხვადასხვა მოთხოვნების გათვალისწინებას, როგორიცაა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები და აკადემიური მომზადება, სთავაზობს სწავლება / სწავლის, შეფასების შესაბამის ფორმებს და პირობებს, სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას ადაპტირებულ გარემოში და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას. აღნიშნულთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს დადგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. ამ დოკუმენტის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას განისაზღვრება მინიმალური საკრედიტო დატვირთვა: თეორიულ მიმართულებებში 1 კრედიტი შეესაბამება მაქსიმუმ 5 საკონტაქტო საათს, ხოლო საშემსრულებლო - შემოქმედებით მიმართულებებში (მუსიკის ფაკულტეტის გარდა) 1 კრედიტი შეესაბამება მაქსიმუმ 6-7 საათს. დოკუმენტი განსაზღვრავს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას, შეფასების სისტემას, გეგმის განხორციელებას და მასში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების პროცესს. სტუდენტების საჭიროებების მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პრაქტიკა ასევე დადასტურდა კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- ფაკულტეტი ვებ - გვერდი:
  https://www.batu.edu.ge/sub-12/news/index.html,
  https://www.batu.edu.ge/sub-13/news/index.html,
  https://www.batu.edu.ge/sub-14/news/index.html
- შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტები (არქიტექტურა, დიზაინი, ინდუსტრიული დიზაინი, მოდის დიზაინი, ტექსტილის დიზაინი, აუდიოვიზუალური ხელოვნება და ა.შ.);

- ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი (2024-2025);
- პროგრამების მიხედვით სტუდენტების / სასწავლო კურსების რეიტინგული ქულა (2024-2025);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში (2024-2025);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს სილაბუსებს და გაასწოროს გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზები.
- სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კომპონენტის არჩევის წესი.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბხსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და არის როგორც გაზომვადი, ასევე მიღწევადი. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სფეროს სპეციფიურ მახასიათებლებს და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს.

ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას კონკრეტული სასწავლო კურსები ემსახურება, რომელთა სწავლის შედეგებიც დეტალურადაა აღწერილი სილაბუსებში და თითოეული შედეგისთვის შერჩეულია შეფასების შესაბამისი მეთოდები და კრიტერიუმები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას, შეფასების განხორციელების პროცედურებს, სწავლის შედეგების სამიზნე მაჩვენებლებს, ანალიზის შედეგების განსაზღვრის კრიტერიუმებსა და შეფასების შედეგების ანალიზის პროცესს. თუმცა, წესი ნათლად არ აყალიბებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. ამ მხრივ რეკომენდებულია, რომ ხსენებულ რეგულაციაში ნათლად განსაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. აღნიშნული უნდა მოიცავდეს პირდაპირ შეფასებასა (მაგ., სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ჩართულობის მონიტორინგის შედეგები) და არაპირდაპირ შეფასებას (მაგ., შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის

პროფესიული ასოციაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკითხვების შედეგები; პროგრამაზე სწავლის შეწყვეტისა და მისი დამთავრების მაჩვენებლები). წესში ასევე განსაზღვრულო უნდა იყოს შეფასებისა და განვითარების ეტაპები, მათ შორის ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, შეფასების სიხშირე, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულებთან, საჭირო გაუმჯობესებების განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი.

სტუდენტების შეფასება ტარდება 100 - ქულიან სკალაზე. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს შუალედურ შეფასებას, რომელიც მთლიანი ქულის 60%-ს შეადგენს (0–60 ქულა), და დასკვნით გამოცდას, რომელიც მთლიანი ქულის 40%-ს შეადგენს (0–40 ქულა). გარდა ამისა, დადგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. სტუდენტებმა შუალედური შეფასების ფარგლებში უნდა მიიღონ სულ მცირე 21 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდაზე მინიმალური საჭირო ქულა 20 ქულას შეადგენს. სტუდენტის საბოლოო ქულა განისაზღვრება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ერთობლიობით. კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმაზე დაფუძნებით, იქნება ეს შუალედური თუ დასკვნითი შეფასება, დაუშვებელია. შუალედური შეფასება თავის მხრივ ასევე მრავალკომპონენტიანია (აღწერილი სასწავლო კურსის სილაბუსებში) და მისი ფორმა შეირჩევა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, პრაქტიკა, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები ასევე ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ფასდება მხოლოდ ერთხელ (საბოლოო ქულით). დაწესებულებას შემუშავებული აქვს "სტუდენტთა პრაქტიკის დებულება", რომელიც არეგულირებს სტუდენტთა პრაქტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის საგანმანათლებლო, პროფესიულ, საწარმოო, პედაგოგიურ-სასწავლო და სხვა სახის პრაქტიკებს. დაწესებულებას ასევე გააჩნია „ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებსა და პროცედურებს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/საბოლოო პროექტის დაცვის პროცედურებს. დოკუმენტის მე-8 მუხლის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას წინ უძღვის წინასწარი დაცვა შესაბამის დეპარტამენტში, რომლის დროსაც დგინდება მისი შესაბამისობა საბოლოო პროექტისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. თუმცა, დოკუმენტი არ განსაზღვრავს, საბოლოო დაცვამდე რამდენი ხნით ადრე უნდა ჩატარდეს წინასწარი დაცვა. დოკუმენტის იმავე მუხლი ადგენს, რომ დეპარტამენტი ნიშნავს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტს, რომელიც არ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. თუმცა, დოკუმენტი არ განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს რეცენზენტი და არც ის არის დაზუსტებული, აქვს თუ არა მაგისტრანტს ნაშრომის დაცვის გაგრძელების უფლება რეცენზენტის მხრიდან უარყოფითი შეფასების შემთხვევაში. გარდა ამისა, გაურკვეველია, შეიძლება თუ არა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს კვალიფიკაციის მინიჭების კომისიის წევრი, რომელიც მინიმუმ სამი წევრისგან უნდა შედგებოდეს. დოკუმენტში ასევე არ არის მითითებული არც კომისიის წევრთა აუცილებელი კვორუმი, რომელიც დაცვისთვისაა საჭირო, და არც სხვა პროცედურული საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს და ცვლილება შევიდეს„ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და ცალკე შემუშავდეს მაგისტრატურის დებულება, რაც მეტ სიცხადეს უზრუნველყოფს.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, როგორიცაა: წერითი გამოცდები, ზეპირი გამოკითხვები, ფოტომოდელირება, არქიტექტურული ესკიზი, თემატური ტურის პრეზენტაცია, აუდიო-ვიდეო ესკიზები, თოქ-შოუს სცენარის გეგმები, პრაქტიკული დავალებები (მაგალითად, მუსიკალური მასალის ან შესწავლილი ცეკვების შესრულება), პროექტზე მუშაობა და სხვა. შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრულია შესაბამისი კრიტერიუმები და ქულებიც შესაბამისადაა განაწილებული.

უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას, რომელიც სტუდენტების ინფორმირმაციას აწვდის მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ. ამ სისტემის მეშვეობით სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები, სადაც მითითებულია ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. ბხსუ-ს ძირითადი მიმართულებების სპეციფიკიდან გამომდინარე, რიგ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული და შემოქმედებითი პროექტები/კონცერტები/გამოფენა-გამოცდები, რომლებიც ფასდება კომისიის მიერ, რაც ზრდის შეფასების პროცესის ობიექტურობას.

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია „სტუდენტის გზამკვლევი“, რომელიც სხვა სასარგებლო ინფორმაციის გარდა მოიცავს დეტალებს სტუდენტთა შეფასებებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურის შესახებ. გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი უსდ-ის შეფასების სისტემისა და შესაბამისი რეგულაციების, მათ შორის, სააპელაციო პროცედურის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი
- სწავლის შედეგების დოკუმენტაცია
- ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სტუდენტთა გზამკვლევი https://batu.edu.ge/main/page/2-32/index.html
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი დაიხვეწოს ისე, რომ მკაფიოდ განსაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე შეფასებისა და განვითარების ეტაპები.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს და ცვლილებები შევიდეს „ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და ცალკეულად შემუშავდეს მაგისტრატურის დებულება, რაც მეტ სიცხადეს უზრუნველყოფს.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით, სისტემურ მიდგომას აჩვენებს. აღნიშნული პოლიტიკა

განსაზღვრავს პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს, რომლის მიზანიცაა კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება, ასევე უნივერსიტეტის შესაძლებლობის ზრდა თანამედროვე გამოწვევებზე ეფექტურად რეაგირების მიზნით.

ადმინისტრაციასთან შეხვედრების დროს აღინიშნა, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევისას უპირატესობა ენიჭებათ კანდიდატებს, რომელთაც ინგლისური ენის კომპეტენცია აქვთ, თუმცაღა, ძირითად კრიტერიუმად პროფესიული კვალიფიკაცია რჩება. მთავარი აკადემიური კონკურსები დაგეგმილია 2026 წლისთვის, ხოლო ამ ეტაპზე, აღნიშნული პრინციპის საფუძველზე მხოლოდ სამი პირია დანიშნული.

აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რეკრუტირებისათვის მოქმედებს გამჭვირვალე პროცედურები, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვასა და შენარჩუნებას. აფილირების პირობები ნათლადაა განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს სიცხადეს როგორც თავად უნივერსიტეტის, ისე მისი პერსონალისათვის. აკადემიურ და აფილირებულ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტი აფინანსებს სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებულ მივლინებებს და ხელს უწყობს სხვადასხვა პროექტში მონაწილეობას. თუმცაღა, პერსონალმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ არსებობს სპეციალურად განსაზღვრული პირი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც მათ დაეხმარებოდა საპროექტო წინადადებების მომზადებასა და წარდგენაში.

პერსონალის საქმიანობა ფასდება და მისი შედეგები, განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, თუმცა ინდივიდუალური შეფასების შედეგები ელფოსტით იგზავნება, და თანამშრომლების თქმით, ისინი ყოველთვის ვერ იღებენ კონკრეტულ უკუკავშირს ან რეკომენდაციებს. მოწვეულმა ლექტორებმა დაადასტურეს, რომ მათ წვდომა აქვთ დაფინანსების შესაძლებლობებზე, მაგალითად, ფესტივალებში მონაწილეობის დაფინანსებაზე, რაც მნიშვნელოვანია როგორც მათთვის, ისე სტუდენტებისათვის.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი ადგენს მხოლოდ ერთ სამიზნე ნიშნულს. „სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სულ მცირე ერთ მესამედს შეადგენდეს ნებისმიერი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.“ პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას დამატებით გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სფეროსა და დისციპლინის სპეციფიკა, სტუდენტთა მიმდინარე და დაგეგმილი რაოდენობა, აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტებისა და პედაგოგების რაოდენობა. თუმცა, დამატებითი საზომები არ არის განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვანია პერსონალის საკმარისი რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად დაგეგმვის უზრუნველსაყოფად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გაირკვა, რომ პერსონალის საჭიროებები იდენტიფიცირდება გამოკითხვების მეშვეობით, თუმცა უცნობია, ვინ არის პასუხისმგებელი ამ საჭიროებების მონიტორინგსა და პერსონალის ადეკვატურობის შემოწმებაზე.

ბხსუ ხელს უწყობს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებით საქმიანობასა და მმართველობაში. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, მათ შორის ტრენინგ პროგრამებს, სემინარებსა და სხვა ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციების ამაღლებას.

ანაზღაურების სისტემა დადგენილ პრინციპებს ეფუძნება, ხოლო პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები გავლენას ახდენს როგორც ფინანსურ წახალისებაზე, ისე პროფესიულ აღიარებაზე. უნივერსიტეტში მოქმედებს წახალისების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ფორმებს. საუნივერსიტეტო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა შეიძლება აღინიშნოს მადლობის გამოცხადებით, ფულადი ბონუსით ან ჯილდოთი. მატერიალური წახალისება გაიცემა რექტორის ან ადმინისტრაციის უფროსის ბრძანების საფუძველზე. ახალი თანამშრომლების ეფექტური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ადაპტაციის სტრუქტურირებული პროცესი.

უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შემადგენლობის შესახებ, ხოლო შეფასების შედეგებსა და კმაყოფილების კვლევების მონაცემებს იყენებს მართვმენეჯერული პრაქტიკების გაუმჯობესებისთვის, რაც ასახავს ძალისხმევას უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების მიმართულებით. ყველა კატეგორიის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობების, მათი ვალდებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობასა და რელევანტურობას. პერსონალის რეზიუმეების შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ თანამშრომლების კვალიფიკაცია, ზოგადად, შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებსა და სფეროს სპეციფიკას, რაც ხელს უწყობს პროფესიული ვალდებულებების ეფექტურად შესრულებასა და ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერას.

ამ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია 44 აკადემიური პერსონალი, რომელთაგანაც 43 აფილირებულია უნივერსიტეტთან. გარდა ამისა, პროგრამების განხორციელებაში ასევე ჩართულია 100 მოწვეული და 102 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია წარმოდგენილი პირადი საქმეებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბხსუ-ს შიდა რეგულაციები
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სამუშაო აღწერილობები
- უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უფრო ცხადი გახდეს პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და თანამშრომლებისთვის მიწოდებული იყოს კონკრეტული, პრაქტიკული უკუკავშირი, რაც გააძლიერებს მათ პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციას.

- რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისთვის განისაზღვროს დამატებითი სამიზნე ნიშნულები, დარგის სპეციფიკის, სტუდენტთა მიღების მიმდინარე და დაგეგმილი მაჩვენებლების, ასევე, პერსონალის კატეგორიების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალის მიერ სათანადო მოცვა და პროგრამის ხარისხი.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პერსონალთან კომუნიკაციის ფორმალური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების, რეკომენდაციებისა და აღიარების მათთან უკეთ მიტანას, ელ.ფოსტის გზავნილების მიღმა, რაც გაუმჯობესებს პროცესის სიცხადესა და ჩართულობას.

რჩევები:

- სასურველია, განისაზღვროს სპეციალური ერთეული ან პირი, რომელიც დაეხმარება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საპროექტო წინადადებების მომზადებასა და წარდგენაში, რაც ხელს შეუწყობს კვლევითი პროდუქტიულობის ზრდასა და გარე დაფინანსების მოზიდვას.

- სასურველია, გაგრძელდეს პროფესიული განვითარების პროგრამების გაფართოება, მათ შორის ტრენინგების, სემინარების, პროექტებისა და სხვა ინიციატივების სახით, და უზრუნველყოფილი იყოს მათი ხელმისაწვდომობა ყველა თანამშრომლისათვის.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს აკადემიური პერსონალის აკადემიური და საათობრივი დატვირთვის, ასევე, თითოეულ სასწავლო ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის სტრუქტურირებული სისტემა. შესაბამისი დადგენილება თავდაპირველად დამტკიცდება ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ, შემდეგ კი მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს მხარდაჭერაც. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, აკადემიური პერსონალის სავალდებულო წლიური დატვირთვა განისაზღვრება მათი აკადემიური პოზიციის მიხედვით (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი). გარდა ამისა, პერსონალის თითოეული კატეგორიისათვის დადგენილია არასაკონტაქტო საათებით დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი, რომელიც ასევე დამტკიცებულია ბხსუს აკადემიური საბჭოს მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად, შესაბამისი დეპარტამენტები დატვირთვის საათებს ანაწილებენ კონკურსის წესით შერჩეულ აკადემიურ პერსონალს შორის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - მოწვეულ პედაგოგებს შორისაც. დეკანის ანგარიშისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე, რექტორი გამოსცემს საბოლოო ბრძანებას, რომელიც ფორმალურად ამტკიცებს დატვირთვის განაწილებას.

ბხსუ-ს ასევე შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების მკაფიო და ნათელი პროცედურა. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მსურველი პირები ვალდებულები არიან, არჩევის შემდეგ წერილობით დაადასტურონ თანხმობა მხოლოდ ბხსუ-სთან აფილირებაზე და მოვალეობების შესრულების დაწყებისთანავე ხელი მოაწერონ აფილირების შეთანხმებას. აღნიშნილი შეთანხმების საფუძველზე, თითოეული აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან ასისტენტი) ვალდებულებას იღებს, მხოლოდ ბხსუსთან იყოს აფილირებული და უნივერსიტეტს წარმოადგენდეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებით და საზოგადოებრივი განვითარების აქტივობებში. აღნიშნული საქმიანობის შედეგები ითვლება ბხსუ-ს ინტელექტუალურ საკუთრებად. აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სტუდენტებს ხელმძღვანელობასა და მენტორობას უწევენ მათ აკადემიურ და შემოქმედებით საქმიანობაში. აფილირების პირობების დარღვევის შემთხვევაში, პერსონალის შრომითი ხელშეკრულება შეწყვეტას ექვემდებარება. შეფასების დროს არსებული მდგომარეობით, 44 აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის 43 აფილირებულია ბხსუ-სთან.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი დეკანის რეკომენდაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ემერიტუსის სტატუსის მქონე პროფესორების ჩართულობას. ემერიტუსებს შეუძლიათ ანაზღაურებადი სამუშაო შეასრულონ უსდ-ში, ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე. აკადემიური პერსონალისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო დატვირთვის განაწილება ხორციელდება მათი კვალიფიკაციის, აკადემიური ხარისხისა და იმ სასწავლო კურსების შესაბამისად, რომლებიც მათ მითითებული აქვთ საკონკურსო განაცხადში. დარჩენილი დატვირთვის შესავსებად, დეკანის დასაბუთებული რეკომენდაციისა და შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინადადების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით ხდება შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე I და II კატეგორიის სპეციალისტების მოწვევა. ინსტიტუციური საჭიროებების გათვალისწინებით, I და II კატეგორიის სპეციალისტები შეიძლება მოწვეულები იყვნენ აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, კონკრეტული საქმიანობის გაწევის მიზნით. კონცერტმაისტერები I კატეგორიის სპეციალისტებთან გათანაბრებულად ითვლებიან. ანალოგიურად, საქართველოში აღიარებული გამორჩეული სპეციალისტების მოწვევაც შესაძლებელია იმავე საფუძველზე, კონკურსის ჩატარების გარეშე.

აკადემიურ პერსონალთან გამართული სესიის დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პერსონალის წლიური სამუშაო დატვირთვის მოთხოვნები პერსონალის კატეგორიების მიხედვით, რომელთა შესრულებასაც ადმინისტრაცია აკონტროლებს. მაგალითად, ფიქსირებული თვიური ანაზღაურების მქონე აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეასრულოს 200 სავალდებულო საათი, დამატებით კი ასევე შეუძლია განახორციელოს 200 საათამდე - საათობრივად ანაზღაურებადი სამუშაო. თუმცა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საათობრივი ანაზღაურების ტარიფი შედარებით დაბალია. განხილვის შედეგად ნათლად არ გამოიკვეთა, შეიძლება თუ არა მსგავსი ორმაგი დატვირთვის მოდელი უარყოფითად აისახოს სამეცნიერო ან შემოქმედებით

საქმიანობაში ჩართულობაზე. ასევე, მოწოდებული არ იყო ერთმნიშვნელოვანი პასუხი ისეთ პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სავალდებულო დატვირთვა სრულად არ სრულდება.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალისთვის ორგანიზება გაუწიოს სემინარებსა და საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც განიმარტება დატვირთვის რეგულაციები, ადმინისტრაციული მოლოდინები და საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმები. მსგავსი ინიციატივები გააუმჯობესებს პერსონალის ინფორმირებულობას ინსტიტუციური პროცედურების შესახებ, გაზრდის გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს დატვირთვის უფრო ეფექტურ დაგეგმვასა და მართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბხსუს აკადემიურ პოზიციებზე ღია კონკურების განხორციელების პროცედურა
- ბხსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია
- ბხსუ-ს შიდა რეგულაციები
- ბხსუში ემერიტუსის წოდების მინიჭების პროცედურა და პირობები
- ბხსუ-ს აფილირების პროცედურა
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალისათვის რეგულარული სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, სამუშაო დატვირთვის დაგეგმვის, მონიტორინგისა და საქმიანობის შეფასების მოლოდინების მათთვის უკეთ განსამარტად.

- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურებისა და მისი თანმდევი შედეგების ნათლად განსაზღვრა და კომუნიცირება.

- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის მართვის გამჭვირვალობის და ეფექტურობის გასაძლიერებლად, გაუმჯობესდეს შიდა კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს შორის.
-

რჩევები:

- სასურველია, გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს საათობრივი ანაზღაურების პოლიტიკა, რათა სამართლიანი ანაზღაურებისა და პერსონალის მოტივაციის უზრუნველსაყოფად

- სასურველია, დატვირთვის მოდელებში უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო ვალდებულებებსა და კვლევით, შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობებში მონაწილეობის დროს შორის ბალანსი.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე, სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ადასტურებს, რომ სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და წინარე განათლების აღიარების პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ცალსახად ადასტურებს აღნიშნული რეგულაციების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული რეგულაციები და უნივერსიტეტში მოქმედი წესები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://batu.edu.ge/main/page/2-32/index.html.

დაწესებულებამ წარმოადგინა უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან იმ უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს მათსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან, რაც მიუთითებს, ინსტიტუციის მხრიდან ამ საკითხის სათანადოდ განმარტებისა და გაცნობის ვალდებულების შესრულებაზე.

სტუდენტურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იგი შეესაბამება კანონმდებლობას და უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და სამართლებრივი ინტერესების დაცვას.

დაწესებულებაში დამტკიცებულია სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სტუდენტის უფლებებს, აგრეთვე სასწავლო პროცესში ჩართული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს. დოკუმენტი ასევე მოიცავს საჩივრების განხილვის პროცედურას და ხაზს უსვამს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ ზემოთმოცემული ინფორმაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ინსტიტუციაში ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები, რომლის მეშვეობითაც მათ შესაძლებლობა აქვთ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და გააკეთონ შეფასებები. ასევე აღინიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტები უშუალოდ მიმართავენ ადმინისტრაციას კონკრეტულ საჭიროებებთან დაკავშირებით ან თხოვნით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს პროცედურა აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებული სააპელაციო განაცხადების განხილვისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები
- ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი;

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისა და გამართული შეხვედრების/გასაუბრებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუციაში არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო და ერთგულების მაღალი დონე სტუდენტებსა და პერსონალს შორის. სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან, რაც ძირითადად განპირობებულია არაფორმალური და ახლო ურთიერთობებით.

დაწესებულებას აქვს სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და პროექტების მართვის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტების პროექტების მხარდაჭერასა და დასამებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებაზე. სამსახური ასევე პასუხისმგებელია დამსაქმებლებთან კომუნიკაციაზე, სათანადო შეხვედრების ორგანიზებაზე, სტუდენტური პროექტების წახალისებაზე და ამ მიმართულებით სტუდენტების მხარდაჭერაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები (2019-2024), რომელიც მიუთითებს მისი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლებზე, კერძოდ: კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია, ხოლო მათი 84% დასაქმებულია სპეციალობით. დასაქმების სპეციფიკა პროგრამების მიხედვით შემდეგია:

- დრამისა და კინოს სამსახიობო პროგრამა: კურსდამთავრებულები პრაქტიკულად დასაქმებულნი არიან სახელმწიფო თეატრებსა და კერძო შემოქმედებით პროექტებში.
- კინოსა და ტელევიზიის რეჟისურისა და ტელე-რადიო ჟურნალისტიკის პროგრამები: კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართული მედია დაწესებულებებში.
- მხატვრული ფილმის რეჟისურის პროგრამა: კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან სახელოვნებო დაწესებულებებში, მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტზე დაფუძნებულ შემოქმედებით აქტივობებში.
- ხელოვნების ისტორია/ხელოვნების ისტორია და თეორია: კურსდამთავრებულები, ძირითადად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლებად მუშაობენ.
- სამუსიკო ხელოვნების პროგრამა: კურსდამთავრებულთა 91% დასაქმებულია სპეციალობით.
- არქიტექტურა: კურსდამთავრებულთა 100% დასაქმებულია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში.
- მოდის დიზაინი: კურსდამთავრებულები პრაქტიკულად დასაქმებული არიან საკუთარ პროფესიაში, მათ შორის ნაწილი თვითდასაქმებულია, რაც მოიცავს სტარტაპებსა და ინდივიდუალურ საქმიანობებს.

სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ატარებს შეხვედრებს, სადაც განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. თუმცა, ვიზიტის დროს სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ასევე აჩვენა, რომ ისინი სათანადოდ არ არიან ინფორმირებულები უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე. სტუდენტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ იმ სამეცნიერო ბაზების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტში. აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამაგისტრო საფეხურზე.

უნივერსიტეტში მოქმედი საკომუნიკაციო არხების განხილვამ აჩვენა, რომ სტუდენტებს არ აქვთ უნივერსიტეტის კორპორატიული ელფოსტა, და ჩარიცხვისას ისინი საკომუნიკაციოდ პირადი ელფოსტის მისამართს უთითებენ. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელფოსტის შექმნა და გამოყენება, რაც გააუმჯობესებს უსაფრთხოებასა და ოფიციალური ინფორმაციის მიწოდების ეფექტურობას.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს, რაც დადასტურდა არა მხოლოდ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, არამედ ადმინისტრაციასთან გასაუბრებებითაც. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა ჩართულობა გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში დაბალია. აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისა და ამ მიმართულებით განხორციელებული ძალისხმევის გაძლიერება, სტუდენტთა ინფორმირება და მათი აქტიური ჩართვის წახალისება. ასევე აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის შეფასებით, ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტთა დაბალი აქტივობის მიზეზი სოციალური და კულტურული ფაქტორებია, ხოლო ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ენობრივი კომპეტენციაც დასახელდა. სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს თავად მათაც გამოხატეს სურვილი ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო დონეზე განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები ინგლისური ენის კომპეტენციის ასამაღლებლად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ხელს უწყობს დამატებითი აქტივობების განხორციელებას და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს, რითაც ახალისებს ექსტრაკურიკულარულ აქტივობებს. სტუდენტები ხშირად სწორედ თვითმმართველობას მიმართავენ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით პირველ საკონტაქტო რგოლად.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერასაა და წახალისებას. კერძოდ: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამულ დაფინანსებას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ საშემსრულებლო მიმართულებებზე და წარმატებით ჩააბარეს შემოქმედებითი ტური/ტურები (დარეგულირებულია „პროგრამული დაფინანსების წესით“). ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააჩნია სახელობითი სტიპენდიის მინიჭების წესი, რომელიც ითვალისწინებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში 2 საუნივერსიტეტო (150 ლარი) და 5 საფაკულტეტო (100 ლარი) სტიპენდიას გამორჩეული სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ერთჯერადი სტიპენდიის (300 ლარი) გაცემა განსაკუთრებული აკადემიური წარმატებისა და აქტიური სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისათვის. უნივერსიტეტი საკუთარი

შემოსავლიდან გასცემს სტიპენდიებს იმ სტუდენტებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ პირობებს.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს სწავლის საფასურის შეღავათებს, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერას. „სწავლის საფასურის გადახდის წესის“ მიხედვით, საფასურის გადახდისგან თავისუფლდებიან:

ა) მშობელთა მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (ობოლები);

ბ) სტუდენტები, რომელთა ოჯახის წევრებმა დაკარგეს საცხოვრებელი სახლი სტიქიური უბედურების ან/და ხანძრის შედეგად;

გ) სოციალურად დაუცველი (დაბალი ქულით შეფასებული) და მარჩენალ-დაკარგული სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მარეგულირებელი მექანიზმები/წესები
- გასაუბრების შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიები და ტრენინგები (განსაკუთრებით სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის) უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების, საბიბლიოთეკო რესურსებისა და მათი ეფექტური გამოყენების შესახებ.

- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტმა გააძლიეროს არსებული შესაძლებლობების (გაცვლითი პროგრამები, პროექტები) შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზები და დანერგოსსტუდენტთა აქტივობის წახალისების ეფექტური მექანიზმები.

რჩევები:

- სასურველია, საუნივერსიტეტო დონეზე განხორციელდეს ისეთი აქტივობები (მაგალითად: ვორქშოფები, ენის კლუბები), რომლებიც ხელს შეუწყობს ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესებას, რაც გაზრდის სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის პოტენციალს.

- სასურველია, გაძლიერდეს ბხსუ-ს პერსონალის ჩართულობა სტუდენტთა ექსტრაკურიკულარული აქტივობებისა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაში.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი დოკუმენტაციისა (დანართები 6.1.1, 6.3) და გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ბხსუს განხორციელებული აქვს, ამჟამადაც ახორციელებს და ასევე დაგეგმილი აქვს მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტი, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის პროფილს. ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის სამეცნიერო და შემოქმედებითი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი წინა საავტორიზაციო პერიოდისათვის (2019–2025) და დადასტურდა, რომ დაწესებულებას მკაფიო ხედვა გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მიმართულებით. აღნიშნული ხედვა წარმოდგენილია სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ქვემოთმოცემულ შვიდ მიმართულებაში: • სტუდენტთა მონაწილეობა კონფერენციებში; • სამეცნიერო რეზიუმეების, სახელმძღვანელოების, დამატებითი წიგნების, სალექციო კურსებისა და უცხოენოვანი ლიტერატურის ქართულად თარგმნა, აგრეთვე სხვა სასწავლო მასალების გამოცემა; • კვლევითი კომპონენტების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამებში, სწავლებისა და კვლევითი პროექტების შერწყმით; • პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს კვლევის ინტერნაციონალიზაციას; • უცხოელი მკვლევარებისა და მეცნიერების ჩართვა სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში; • ბხსუში რეგიონულ მუსიკალურ ფოლკლორზე მიძღვნილ კვლევით ლაბორატორიასთან დაკავშირებით საჭირო პირობების (ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) მომზადება; • სამეცნიერო საქმიანობების განვითარება და მათი ხარისხის გაუმჯობესება, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო არენაზე პოზიციების გამყარების მიმართულებით. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ცალსახად არ ჩანს, თუ როგორ შეესაბამება სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი სტრატეგია ინსტიტუციის შვიდწლიან და სამწლიან სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს. სტრატეგიული მიზნების ქვე-მიზნები, კონკრეტული ამოცანები და დაგეგმილი აქტივობები ერთმანეთშია არეული, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს მათი შესრულების მონიტორინგის პროცესს. შედეგად, გაჭირდება როგორც პროგრესის გამოვლენა, ისე გაუმჯობესების საჭირო სფეროების იდენტიფიცირება. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისობა ინსტიტუციის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან. აღნიშნული შესაბამისობა გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი ბიუჯეტისა და ფინანსური საჭიროებების მითითებით.

ბხსუ არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს, შესაბამისად, დაწესებულებაში არ ხორციელდება ინტენსიური კვლევითი საქმიანობა. თუმცა, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება, მათი ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმების პრიორიტეტულ მიმართულებას. კვლევითი საქმიანობა ხორციელდება სამაგისტრო საფეხურზე. საშემსრულებლო მიმართულების პროგრამებში სამაგისტრო პროექტი მოიცავს არამხოლოდ საშემსრულებლო, არამედ კვლევით კომპონენტსაც.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის რეგულაციები მკაფიოდ განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესებს, სტანდარტებსა და შეფასების კრიტერიუმებს, საშემსრულებლო მიმართულებების სამაგისტრო ნაშრომების კვლევითი კომპონენტის მოთხოვნები ნათლად არ არის განსაზღვრული. რეკომენდებულია, რომ შესაბამის რეგულაციაში ნათლად აისახოს საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები.

საავტორიზაციო პერიოდში უნივერსიტეტში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური მხარდაჭერა. ეს გამოიხატება იმ რეგულაციებში, რომლებიც შემუშავებულია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად (მაგალითად, კვლევითი საქმიანობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს კვლევითი და შემოქმედებითი აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურებს). გარდა ამისა, დაფუძნდა სამეცნიერო, შემოქმედებითი და საგამომცემლო განყოფილება, რომელიც კოორდინირებასა და მხარდაჭერას უწევს აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას. აღნიშნული ერთეული წარმოადგენს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურულ ქვედანაყოფს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის განვითარებას.

განყოფილება უზრუნველყოფს/მხარს უჭერას:

- სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინირებას;
- სამეცნიერო და შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებას (კონფერენციები, საზაფხულო სკოლები, საჯარო ლექციები, მასტერკლასები, სემინარები და სხვა.);
- სტუდენტებისა და პერსონალის კონსულტირებას სამეცნიერო კვლევების მიმართულებით;
- საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისთვის საჭირო ღონისძიებების მომზადებას;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას როგორც საუნივერსიტეტო, ისე სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების გამოცემას;
- სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მათ მომზადებას რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის.

საავტორიზაციო პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობების გაძლიერება ცხადად იკვეთება უნივერსიტეტის როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ჩართულობაში. ბხსუ-ს აკადემიური პერსონალი რეგულარულად წარმოადგენს საკუთარ სამეცნიერო მიღწევებსა და ინოვაციებს საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებზე.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალისა და სტუდენტების მიერ განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამეცნიერო აქტივობების გრძელი სია და აღწერა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად აქვეყნებს სტატიებს ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში, მონაწილეობს რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში. საშემსრულებლო და სახვითი ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები, რომელთა კომპეტენციაც დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, გავლილი ტრენინგებით/კურსებითა და განხორციელებული შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტებით.

აკადემიური პერსონალი ჩართულია არამხოლოდ სწავლების პროცესში, არამედ სტუდენტთა კონსულტირებაში, პროგრამების შემუშავებასა და პროგრამებთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუდმივად მონაწილეობს პროექტებში, ტრენინგებში, ვორქშოპებში, კონკურსებში, თეატრისა და კინო-ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.

აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბხსუ-ში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა აქტივობები - კონფერენციები, საჯარო ლექციები, მასტერკლასები, ასევე ხელშეწყობილია საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობა, რაც პროფესიული უნარების განვითარებას ემსახურება.

2019–2025 წლებში ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტმა განავითარა სამეცნიერო-კვლევითი, საგამომცემლო და საერთაშორისო საქმიანობის მიმართულებები. უნივერსიტეტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებმაც გააძლიერა კვლევითი პოტენციალი, გაზარდა აკადემიური პუბლიკაციების რაოდენობა და გააფართოვა საერთაშორისო პარტნიორობის ქსელი. ეს პროგრესი სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების მიზნებს და მყარ საფუძველს ქმნის შემდგომი განვითარებისათვის. თუმცაღა, დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა საკუთარი კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 1.1. სსიპ - ბათუმი ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და მიზნები
- დანართი 1.2. სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი)
- დანართი 1.2. სამოქმედო გეგმა (სამწლიანი)
- სსიპ - ბათუმი ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისობა ინსტიტუციის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან, რაც მხარდაჭერილი უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული ბიუჯეტითა და ფინანსური მოთხოვნებით.

- რეკომენდებულია, სათანადო რეგულაციაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საშემსრულებლო პროგრამებში სამაგისტრო პროექტის კვლევითი კომპონენტის მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ბხსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება განვითარების სტრატეგიებისა და მოქმედი მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად (ბხსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულება; ბხსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის დებულება)“.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026–2032) და სამოქმედო გეგმა (2026–2028) მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უწყვეტ განვითარებას, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბხსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს დაწესებულებაში სამეცნიერო კვლევის ორგანიზების, მხარდაჭერისა და განხორციელების მექანიზმების განსაზღვრას, დამტკიცდა 2020 წლის 14 ნოემბერს (ბრძანება №04-01/14). მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი არ განახლებულა ახალი სტრატეგიული პერიოდისათვის. შედეგად, სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის მოქმედი სტრატეგია არ შეესაბამება დაწესებულების ახალ სტრატეგიული განვითარებისა (2026–2032) და სამოქმედო გეგმებს (2026–2028).

რეკომენდაციები:

უნდა განახლდეს სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიის დოკუმენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი შესაბამისობა დაწესებულების მოქმედ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან.

ბხსუ-ს სამეცნიერო, შემოქმედებითი და საგამომცემლო განყოფილების დებულება, ისევე როგორც დებულების საფუძველზე განხორციელებული საქმიანობები, ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია კვლევითი, განვითარებისა და სამხატვრო-შემოქმედებითი აქტივობების მხარდამჭერი ფუნქციური მექანიზმები.

ბხსუ ყოველწლიურად განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და მათთან დაკავშირებული აკადემიური ღონისძიებების ბიუჯეტს. აღნიშნული საქმიანობები ძირითადად ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, გამოიყენება დაფინანსების ალტერნატიული წყაროებიც, მაგალითად, გრანტები, რომლებიც კონკურსის წესით გაიცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონსულტირებას დაფინანსების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ბხსუ-ს ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს პერსონალისათვის აკადემიურ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026–2031) მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალი პერსონალის მოზიდვასა და მათი ჩართულობის ზრდას უკავშირდება. **სტრატეგიული მიზანი N1.** სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელებაში იკვეთება ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართულია აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ახალგაზრდა სპეციალისტების კარიერული წინსვლასა და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებაზე.

უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს აკადემიური პერსონალის ინფორმირებასა და ჩართულობას სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, მათ შორის ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებასა და ა.შ. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს საერთაშორისო აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით განხორციელებული მივლინების ხარჯების დაფინანსებას.

ბოლო წლების განმავლობაში ბხსუ-მ ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმებს რამდენიმე ქართულ და უცხოურ საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებასთან, რის შედეგადაც შეიქმნა პარტნიორთა ფართო ქსელი, რომელიც ახალ შესაძლებლობებს აძლევს როგორც სტუდენტებს, ისე პერსონალს. სასურველია, დაწესებულებამ უფრო პრაქტიული ნაბიჯები გადადგას ამ პარტნიორობების სრულად გამოყენებისა და უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით სფეროებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ 2019–2025 წლებში ბხსუს მნიშვნელოვანი პროგრესი ჰქონდა ინტერნაციონალიზაციისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების მიმართულებით. პარტნიორ უსდ-ებთან თანამშრომლობის ფარგლებში, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს

საერთაშორისო კონფერენციებში, ხოლო უნივერსიტეტმა უმასპინძლა საჯარო ლექციებს, მასტერკლასებსა და ვორქშოპებს.

თუმცაღა, კვლავ აუცილებელია გაიზარდოს და გაძლიერდეს ბხსუ-ს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით და/ან დარგობრივ შემოქმედებით საქმიანობაში, გაფართოვდეს კვლევისა და საერთაშორისო პარტნიორობის ქსელი და მეტად იყოს მხარდაჭერილი მრავალფეროვანი სტუდენტური პროექტები ყველა ფაკულტეტზე (განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკის ფაკულტეტის მაღალი აქტივობა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 6.3.1 – უნივერსიტეტის სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები სესიებიდან (1.1, 1.5, 1.6, 2.2, 2.3 და 3.3)
- დანართი 6.1.1 – მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოკლე აღწერები
- დანართი 6.1–1.9 – ინფორმაცია ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობის შესახებ
- დანართი 6.7 – დაფინანსების წყაროებისა და პროცედურების აღწერა
- დანართი 6.8 – სიპ – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი
- დანართი 6.11 – პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ განაახლოს სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიის დოკუმენტი და შესაბამისობაში მოიყვანოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებთან.

რჩევები:

- სასურველია, გაიზარდოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების მხარდაჭერა და გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

- სასურველია, ახლად-დადებული მემორანდუმების ფარგლებში დაიგეგმოს, სამოქმედო გეგმაში აისახოს და განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები.

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური/კვლევითი პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა. აღნიშნული აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და დადასტურებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციით (დანართებით).

დაწესებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ აქტივობების განხორციელებით, არამედ ასევე რეგულარულად ახორციელებს სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგსა და ანალიზს. აღნიშნული დადასტურდა როგორც წარმოდგენილი, ისე დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტებით, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და ფაკულტეტის დეკანებთან ჩატარებული გასაუბრებებით.

ბხსუ-ში აკადემიური პერსონალი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ახორციელებს როგორც საკუთარი პროფესიული ვალდებულების განუყოფელ და სავალდებულო ნაწილს, მათი აკადემიური დატვირთვის შესაბამისად.

პერსონალის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შესრულება აისახება ინდივიდუალურ ანგარიშებში, როგორც ეს განსაზღვრულია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ №2 დანართში .
თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, წლის დასაწყისში აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური სამუშაო გეგმები უნდა მოიცავდეს სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს, მაგალითად:

- სამეცნიერო/სასწავლო/მეთოდოლოგიური მასალების მომზადებას;
- სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას;
- სტატიის გამოქვეყნებას სამეცნიერო ჟურნალებში;
- სტუდენტებისთვის ღონისძიებების ჩატარება ან სტუდენტთა მომზადებას ასეთი ღონისძიებებში მონაწილეობისათვის;
- სტუდენტთა კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას.

თუმცა, პერსონალთან გამართულმა გასაუბრებებმა არ დაადასტურა, რომ მსგავსი გეგმები რეალურად მზადდება წლის დასაწყისში. დაწესებულებისთვის მიზანშეწონილია ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება და კვლევითი პროცესის დაგეგმვის უზრუნველყოფა.

თვითშეფასების ანგარიშის, ასევე სამეცნიერო, შემოქმედებითი და საგამომცემლო განყოფილების დებულების თანახმად, აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესრულების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს აღნიშნული განყოფილების ხელმძღვანელის მიერ. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლამ და გასაუბრებებმა (ფაკულტეტის დეკანებთან და ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან) აჩვენა, რომ რეალურად აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

რეკომენდაცია: სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინირების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების როლები და პასუხისმგებლობები, ხოლო დოკუმენტაცია თანხვედრაში უნდა იყოს რეალურ პრაქტიკასთან.

პერსონალის საქმიანობა მოიცავს: ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას; მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების (ძირითადი და დამატებითი), სალექციო კურსებისა და სხვა სასწავლო მასალების მომზადებასა და გამოქვეყნებას; საგრანტო კვლევით პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობას; მაგისტრანტებთან მუშაობას; სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში ჩართულობას; სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობასა და ა.შ.

ბხსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებს წარმოადგენს:

- სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა (რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციები);
- სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება;
- სამეცნიერო ლიტერატურის, მონოგრაფიებისა და სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალების მომზადება;
- საგნობრივი აკადემიური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა;

- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.
  (აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის მე-3 მუხლი).

დაწესებულება ახორციელებს წარსული საქმიანობის ანალიზს და სწორად განსაზღვრავს გაუმჯობესების საჭირო მიმართულებებს, რომელთა შორისაცაა:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერის გაძლიერება;
- აკადემიური პერსონალის ჩართულობის ზრდა საერთაშორისო კვლევით პროექტებში;
- პერსონალის მოტივაციისა და აქტივობის ხელშეწყობა;
- შეფასების ეფექტურობისა და შესაბამისი აქტივობების გაუმჯობესება;
- სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების პირობების (მათ შორის დაფინანსების) გაუმჯობესება უნივერსიტეტში;
- სტუდენტთა ექსტრაკურიკულარული საქმიანობების წახალისება და პერსონალის მეტი ჩართულობა სამეცნიერო და კვლევით აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 6.10 – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- დანართი 6.11 – პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა
- დანართი 6.1–1.9 – ინფორმაცია ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობის შესახებ
- დანართი 6.3.1 – უნივერსიტეტის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები სესიებიდან (1.1, 1.5, 1.6, 2.2, 2.3 და 3.3)

დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები:

1. სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების 2023 წლის წლიური ანგარიში
2. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კითხვარის ანალიზი
3. განათლების, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება
4. სხვადასხვა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების ინდივიდუალური საქმიანობის ანგარიშები – შევსებული ფორმები (4 ფაილი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინირების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების ფუნქციები და მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოვიდეს რეალურ პრაქტიკასთან.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის პირობები (მათ შორის დაფინანსება).

რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს ძალისხმევა პერსონალის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მიმართულებით და უზრუნველყოს ამ პროცესების დაგეგმვა.

- სასურველია, მეტი კონცენტრირება პერსონალის მოტივაციის გაზრდაზე, რაც ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მის უფლებას, გამოიყენოს უძრავი ქონება. მათ შორისაა საჯარო რეესტრის ამონაწერი (2025 წლის 7 აპრილი), სადაც ასახულია ბათუმში მდებარე ქონების შესახებ ინფორმაცია.

ქონება მდებარეობს ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქ. №19-ში, ასევე ცნობილი როგორც ვაჟა-ფშაველას ქ. №32. ქონების საკადასტრო კოდია 05.22.29.013, რომელიც მოიცავს როგორც მიწის ნაკვეთს, ასევე მასზე მდებარე შენობას. მიწის ნაკვეთის ფართობია 1 380 კვ.მ და ის განეკუთვნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას. ნაკვეთს იკავებს ოთხსართულიანი შენობა სარდაფით, საერთო ფართობით 4 192.58 კვ.მ:
სარდაფი - 194.53 კვ.მ, I სართული - 1 000.03 კვ.მ; II სართული - 976.93 კვ.მ
III სართული - 1 007.51 კვ.მ; IV სართული - 1 013.58 კვ.მ

ქონება სახელმწიფოს საკუთრებაშია, საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 2020 წლის 11 თებერვალს. საკუთრების უფლება დასტურდება ორ დოკუმენტზე დაყრდნობით: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 31 იანვრის განცხადება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2005 წლის 16 მარტის განცხადება.

მიუხედავად იმისა, რომ ქონება სახელმწიფოს ეკუთვნის, მისით სარგებლობის უფლება გადაცემულია ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. სარგებლობის უფლება რეგისტრირებულია 2016 წლის 1 დეკემბერს და ძალაშია უნივერსიტეტის არსებობის ვადით, რაც ფაქტობრივად მუდმივ სარგებლობას გულისხმობს. სარგებლობის უფლება მოიცავს მიწის მთელ ნაკვეთსა და მასზე მდებარე ყველა შენობა-

ნაგებობას. აღნიშნული უფლება დადასტურებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი საჯარო სკოლის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანებით.

ქონება სრულად თავისუფალია სამართლებრივი პასუხისმგებლობებისაგან. არ არის რეგისტრირებული იპოთეკა, საგადასახადო გირავნობა, კონფისკაცია ან სხვა ტიპის შეზღუდვა; იგი ასევე არ არის დაფიქსირებული მევალეთა რეესტრში. შესაბამისად, უნივერსიტეტს აქვს სრული და შეუფერხებელი უფლება გამოიყენოს აღნიშნული ქონება თავისი საქმიანობის განსახორციელებლად.

დოკუმენტი ასევე მოიცავს სტანდარტულ ინფორმაციას ქონების გადაცემით ან ჩუქებით შემოსავლის მიმღები პირების საგადასახადო ვალდებულებების შესახებ. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ეს არ არის რელევანტური, რადგან აღნიშნული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა.

უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა შენობის შიდა გეგმაც. ამ გეგმისა და ადგილზე ჩატარებული დათვალიერების საფუძველზე დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

შენობათა კომპლექსი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: ახალი შენობა და ძველი შენობა, თითოორივე ეული ოთხსართულიანი. თითოეული სართულის გეგმა დეტალურად ასახავს ოთახების განლაგებას, ფართებს, სტრუქტურულ ელემენტებსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებას.

ახალი შენობა:

- პირველი სართული: მოიცავს სცენას, 83-ადგილიან დარბაზსა და დამხმარე სივრცეებს
- II სართული: მოიცავს მეორადი განათების სივრცეს, ტერასას, სასცენო რეპეტიციების დარბაზს, საშემსრულებლო ხელოვნების დეპარტამენტს

- III და IV სართულები: მოიცავს საჯარო სალექციო და საკონფერენციო დარბაზებს, ასევე დიდ და მცირე აუდიტორიებს.

ძველი შენობა:

- პირველი სართული: განთავსებულია ადმინისტრაციული ოფისები, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური დეპარტამენტი, ბიბლიოთეკა დიდი სამკითხველო დარბაზით, საფინანსო და სტუდენტური მომსახურების დეპარტამენტები. აკადემიური თეატრის ფოიე მოიცავს საგარდერობოსა და მცირე საგამოფენო დარბაზს.
- II სართული: განთავსებულია რექტორის კაბინეტი მისაღებითა და საკონფერენციო სივრცით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კაბინეტი, საფაკულტეტო დეპარტამენტების ხელმძღვანელების ოფისები და კინო-ტელე დეპარტამენტი, რომელიც მოიცავს ჩამწერ სტუდიას, კინოლაბორატორიასა და სამონტაჟო ოთახებს.
- III სართული: მდებარეობს ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორია ფაკულტეტის ბიბლიოთეკასთან ერთად, მუსიკის თეორიის აუდიტორია, დეკანის კაბინეტი, ფონიატრის კაბინეტი, პატარა საკონცერტო დარბაზი და მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი ინდივიდუალური აუდიტორიები. ასევე განთავსებულია სცენა საკონცერტო დარბაზისათვის.
- IV სართული: ეთმობა სახვითი ხელოვნების პროგრამებს და მოიცავს ფერწერისა და გრაფიკის სახელოსნოებს, არქიტექტორთათვის განკუთვნილ აუდიტორია-სახელოსნოს, სახვითი ხელოვნების დეპარტამენტს, დიზაინის სახელოსნოებსა და რეკვიზიტების ოთახს.

დოკუმენტაციაში მითითებულია თითოეული სივრცის ზუსტი ფართობი კვადრატულ მეტრში, კედლების სისქე, კარ-ფანჯრების განლაგება და გამოყენებული მასალები.
სამშენებლო მასალები მოიცავს თაბაშირ-მუყაოს ფილებს, მცირე ბლოკებს, პოლიეთილენის მილებსა და სხვა სამშენებლო ელემენტებს.

წარდგენილი არქიტექტურული ნახაზების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ შენობა მოიცავს

საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საჭირო თითქმის ყველა აუცილებელ სივრცეს.

პირველ სართულზე მკაფიოდ არის გამოყოფილი ფოიე, სადაც განთავსებულია სასწავლო თეატრის ფოიე საგარდერობოთი. ეს სივრცე ფუნქციონირებს როგორც შესასვლელი და ასევე შეხვედრებისა და საორგანიზაციო აქტივობებისთვის განკუთვნილი სივრცე.

თეორიული სწავლების აუდიტორიები მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარი ზომებისაა. მეორე სართულზე განთავსებულია მუსიკის თეორიის აუდიტორია, ხოლო მესამე და მეოთხე სართულებზე კი დიდი და მცირე აუდიტორიები, საჯარო ლექციებისა და საკონფერენციო დარბაზები, ასევე არქიტექტორთა აუდიტორია-სახელოსნო. სივრცის ეს მრავალფეროვნება სასწავლო აქტივობების განხორციელების საშუალებას იძლევა სხვადასხვა ზომის ჯგუფებთან.

ადმინისტრაციული სივრცეები ფუნქციურად სწორად არის განაწილებული და მოიცავს რექტორის კაბინეტს მისაღებითა და საკონფერენციო სივრცით, აკადემიურ დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კაბინეტს, საფინანსო დეპარტამენტს, დეკანის კაბინეტსა და სხვადასხვა დეპარტამენტების ოფისებს. ამ კაბინეტების პირველ და მეორე სართულებზე თავმოყრა უზრუნველყოფს როგორც მათ ხელმისაწვდომობას, ისე ფუნქციურ ეფექტიანობასაც.

ჯგუფური მუშაობისა და სახელოსნოების სივრცეები მოიცავს სასცენო რეპეტიციების აუდიტორიას, ფერწერისა და გრაფიკის სახელოსნოებს, დიზაინის სახელოსნოებსა და არქიტექტურულ აუდიტორიას, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა თანამშრომლობითი პროექტების განხორციელებას.

სანიტარული კვანძები ყველა სართულზეა განთავსებული; მათი ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს.

ბიბლიოთეკა ორ სართულზეა განთავსებული: პირველ სართულზე მთავარი ბიბლიოთეკა მოიცავს დიდი სამკითხველო დარბაზს, ბიბლიოთეკის დირექტორის კაბინეტსა და საცავს, ხოლო მესამე სართულზე ფაკულტეტის ბიბლიოთკაა განთავსებული. ამგვარი განლაგება ხელს უწყობს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მუშაობისთვის შესაბამის გარემოს შექმნას.

ლაბორატორიები დაპროექტებულია თითოეული სფეროს საჭიროებების შესაბამისად. მესამე სართულზე განთავსებულია ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორია ფაკულტეტის ბიბლიოთეკასთან ერთად, ხოლო მეორე სართულზე კინოლაბორატორია, ხმისჩაწერის სტუდია და მონტაჟის ოთახი. აღნიშნული სპეციალიზებული სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიებით, რომლებიც მხარს უჭერს პრაქტიკული უნარების განვითარების.

სწავლებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის სივრცეები, მათ შორის ინდივიდუალური აუდიტორიები და ფერწერის, დიზაინისა და გრაფიკის სახელოსნოები, რომლებიც ძირითადად განთავსებულია ზედა სართულებზე, სადაც ბუნებრივი განათება იდეალურ პირობებს ქმნის შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

სარეკრეაციო სივრცეების თვალსაზრისით, მეორე სართულზე განთავსებულია ლაუნჯი და ტერასა, თუმცა ფართომასშტაბიანი სარეკრეაციო სივრცეები ცალკე ზონებად გამოყოფილი არ არის. ასევე უზრუნველყოფილია საცავი და საარქივო სივრცეები, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიან მართვას.

სივრცითი განლაგება მთლიანობაში ლოგიკური და ფუნქციურია: ადმინისტრაციული კაბინეტები თავმოყრილია ქვედა სართულებზე, რაც უზრუნველყოფს მარტივ ხელმისაწვდომობას; საკონცერტო და თეატრალური სივრცეები განლაგებულია შუა სართულებზე; სახელოსნოები და პრაქტიკული სამუშაო სივრცეები განთავსებულია ზემოთა სართულებზე, რათა ისარგებლონ ბუნებრივი განათების ოპტიმალური პირობებით, რაც ხელს უწყობს როგორც შემოქმედებით, ისე აკადემიურ საქმიანობას.

დაწესებულება აღჭურვილია ადეკვატური საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურსებით და

ხელშეკრულებები აქვს დადებული შესაბამის ორგანიზაციებთან, რაც უზრუნველყოფს ამ გარე რესურსების ეფექტიან გამოყენებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მარაგები, სასწავლო მასალები და სხვა საჭირო ინვენტარი, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას.

შენობა აღჭურვილია განცალკევებული სანიტარული კვანძებით, რომლებიც უწყვეტად მარაგდება წყლით და სათანადოდ ხდება მისი ექსპლუატაცია. ეს სივრცეები შესაბამისობაშია სანიტარულ და ჰიგიენურ სტანდარტებთან და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. ყველა ოტახს გააჩნია ბუნებრივი და ხელოვნური განათება. შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარებისა და საერთო წესრიგის უზრუნველყმოფელი მექანიზმები. აღნიშნული ღონისძიებების მხარდასაჭერად ხელმისაწვდომია შესაბამისი ინვენტარი და აღჭურვილობა. ცეცხლმაქრი მოწყობილობები ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებშია განთავსებული და თან ახლავს დეტალური ინსტრუქციები. შენობაში ასევე გამოკრულია ევაკუაციის დამტკიცებული გეგმები.

შენობა აღჭურვილია საევაკუაციო გასასვლელით, რომლის კარებებიც იღება შიგნიდან გარეთ, შენობიდან უსაფრთხოდ გასვლისათვის. პირველი დახმარების გაწევისათვის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, შესაბამისი სამედიცინო კვალიფიკაციით. გარდა ამისა, სამედიცინო ოთახი აღჭურვილია პირველი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით; ოთახს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ადგილზეა ბუნებრივი ვენტილაცია და უწყვეტად მარაგდება ცივი წყლით, თუმცა ცხელი წყალი არ არის ხელმისაწვდომი.

დაწესებულება ეფექტურად უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას შენობის მთელ პერიმეტრზე. უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების მიზნით, შენობაში მუშაობენ უსაფრთხოების თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან დროულად და ეფექტურად მოახდინონ რეაგირება ნებისმიერ დარღვევაზე და დაიცვან დაწესებულების მატერიალური რესურსები. შენობების შინაგან და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომელთაც გააჩნიათ ჩაწერის ფუნქცია, რაც ხელს უწყობს მონიტორინგს და შემდგომი განხილვის შესაძლებლობას იძლევა.

დაწესებულების განლაგება და ინფრასტრუქტურა უსაფრთხო და სათანადო საგანმანათლებლო გარემოს ქმნის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. შენობა ხელმისაწვდომია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის, ხელმისაწვდომია პანდუსები და ლიფტი, რაც დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფალ ორიენტაციასა და გადაადგილებას უწყობს ხელს.

დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია საკუთარი ავტოსადგომი. ეს განპირობებულია უნივერსიტეტის მდებარეობით ქალაქის ცენტრში, მჭიდროდ დასახლებული ზონაში, სადაც სივრცის გამოყენება ავტოსადგომისთვის შეუძლებელია. გარდა ამისა, უნივერსიტეტს არ აქვს სასადილო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი
- შენობების შიდა აზომვითი ნახაზები,
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები,
- სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- კომუნალური გადასახადების (ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის) გადახდის ქვითრები;
- გათბობისა და ვენტილაციის სისტემების გამართული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ვარგისიანობის ვადები;
- სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი დახმარებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;

- საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო აღჭურვილობის, ასევე უსაფრთხოების კამერების ფლობის დოკუმენტები;
- შრომითი ხელშეკრულებები უსაფრთხოებასა და სამედიცინო მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელ პირებთან.
- საგანმანათლებლო და სარეპეტიციო სივრცეები აღჭურვილია პროგრამებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით, მათ შორის მოწყობილობებით, ტექნიკითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით, რომლებიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის.
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ პირველადი დახმარების სამედიცინო ოთახი აღიჭურვოს ცხელი წყლით, რათა შესაძლებელი იყოს სამედიცინო და სანიტარული პროცედურების ჩატარება ოპტიმალურ პირობებში.

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას სასადილო, რათა სტუდენტებს კამპუსზე ჰქონდეთ კვების ხელმისაწვდომი და კომფორტული სივრცე.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული ნახაზებისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადგენილია, რომ ბიბლიოთეკა განთავსებულია ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ სართულზე და აღჭურვილია დიდი საკითხავი დარბაზით. ბიბლიოთეკა მოიცავს რამდენიმე ფუნქციურ ზონას, მათ შორის: წიგნსაცავს, საკითხავ სივრცეს, ბიბლიოთეკის თანამშრომლების სამუშაო სივრცეს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეს, ასევე საინფორმაციო და ტექნოლოგიური აღჭურვილობის ზონას.

ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ბიბლიოთეკით სარგებლობის კარგად განვითარებული პოლიტიკის შესაბამისად და მომხმარებლებს აწვდის მკაფიო ინფორმაციასა და ინსტრუქციებს. საკითხავი დარბაზი სრულადაა აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით, პრინტერით, ასლის გადამღები აპარატითა და სკანერით. ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, რაც მომხმარებლებს საკუთარი მოწყობილობების გამოყენების საშუალებას აძლევს.

ბიბლიოთეკას გააჩნია ბეჭდური და ელექტრონული რესურსების მრავალფეროვანი კოლექცია, რომელიც რეგულარულად ახლდება. კოლექცია სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას და ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც მითითებულია კურსების სილაბუსებში, ხელმისაწვდომია საკმარისი რაოდენობით. საბიბლიოთეკო მასალები კატალოგიზებულია და ორგანიზებულია ბიბლიოთეკის სტანდარტული წესებისა და კლასიფიკაციის სისტემატიზებული მექანიზმის შესაბამისად.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება განსაზღვრავს ბიბლიოთეკას, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად და ანგარიშვალდებულია როგორც აკადემიური საბჭოს, ისე რექტორის წინაშე.

ბიბლიოთეკის ძირითადი მიზნებია მომხმარებლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება, მაღალი ხარისხის სერვისის უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა. მისი ფუნქციები მოიცავს წიგნადი ფონდის განვითარებასა და შენარჩუნებას, სააბონიმენტო და სამკითხველო დარბაზის მომსახურების შეთავაზებას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, საბიბლიოთეკო რესურსების მართვასა და დაცვას.

ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც აკადემიური საბჭო ოთხწლიანი ვადით ირჩევს. ბიბლიოთეკის სტრუქტურა მოიცავს წიგნსაცავს, სამკითხველო დარბაზებსა და კომპიუტერულ ოთახებს. პერსონალში შედიან დირექტორი, უფროსი ბიბლიოთეკარი და ბიბლიოთეკარები, რომელთა უფლებები და ვალდებულებები მკაფიოდ არის განსაზღვრული. დებულებაში ცვლილებებს ახორციელებს წარმომადგენლობითი საბჭო.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელიც დამტკიცებულია 2018 წელს, არეგულირებს ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცედურებს და ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესდებასა და ეთიკის კოდექსს.

რეგისტრაციისთვის მომხმარებელს მოეთხოვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და, აბონემენტის სერვისის შემთხვევაში, ერთი ფოტოსურათი. მომხმარებელმა უნდა მიუთითოს საკონტაქტო ინფორმაცია, გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და ხელი მოაწეროს მათი დაცვის ვალდებულებაზე.

საბიბლიოთეკო რესურსები მოიცავს: წიგნსაცავს, სამკითხველო და კომპიუტერულ დარბაზებს, მრავალენოვან საბიბლითეკო ფონდს, ელექტრონულ ბიბლიოთეკას და EBSCO Publishing მონაცემთა ბაზაზე წვდომას. საბიბლითეკო ფონდის ონლაინ ძებნა შესაძლებელია OPEN BIBLIO სისტემის საშუალებით. მომხმარებელს შეუძლია ერთდროულად მაქსიმუმ ხუთი ერთეულის გატანა 7 დღით, აღნიშნული ვადის გაგრძელების შესაძლებლობით.

კომპიუტერები ხელმისაწვდომია ტექსტურ სამუშაოს, ასევე ინტერნეტზე და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის მიზნებისთვის. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან–პარასკევამდე: 10:00–18:00 საათებში, ხოლო შაბათს: 10:00–16:00 საათებში. ბიბლიოთეკის წესების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბიბლიოთეკის ბიუჯეტი 2019–2025 წლებში გადანაწილდა სამ ძირითად კატეგორიაზე. ლიტერატურის შესყიდვის დაფინანსება შეადგენდა: 2,000 ლარს - 2019–2020 წლებში ; 4,900 ლარი - 2021–2023 წლებში ; 3,500 ლარს - 2024 წელს ; 5,200 ლარს - 2025 წელს. ჟურნალების, პერიოდული გამოცემებისა და გაზეთების დაფინანსება მერყეობდა და შეადგენდა : 980.60 ლარს - 2019 წელს; 1,073.50 ლარს - 2022 წელში (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი) და 2025 წლისათვის დაგეგმილია რომ იქნება 906.80 ლარი. ელექტრონული მონაცემთა ბაზების დაფინანსება ამ პერიოდის განმავლობაში სტაბილური იყო.

ბიუჯეტის სრული ბიუჯეტი წლების განმავლობაში შემდეგი იყო: 2019–2020 – დაახლოებით 4,500 ლარი; 2021–2023 – 7,350 ლრაიდან 7,470 ლარამდე ; 2024 წელს, იგი შემცირდა 5,845 ლარამდე; და 2025 ში, დაგეგმილია რომ იქნება 7,607 ლარი.

2017 წლის თებერვალში ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმთან ელექტრონული საინფორმაციო ბიბლიოთეკების პროექტში მონაწილეობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ათი ელექტრონული რესურსი: ACM Digital Library, Cambridge Journals Online, Duke Journals, Edward Elgar Publishing, European Respiratory Journal, Mathematical Sciences Publishers, OpenEdition Journals, Royal Society Journals, SAGE Journals, and The Company of Biologists' Journals. გარდა ამისა, უნივერსიტეტს უფასოდ შეუძლია საკუთარი კვლევების გამოქვეყნება რვა გამომცემლობაში და ხუთ დამატებით გამომცემლობაში – შეღავათიანი ტარიფით. თუმცა, ბიბლიოთეკას ამჟამად წვდომა აქვს დარგობრივი ელექტრონულ ბაზების

შეზღუდულ რაოდენობასთან, რაც განპირობებულია სპეციალიზებული სფეროების მრავალფეროვნებით უნივერსიტეტში. ხელოვნების მიმართულების ელექტრონული ბაზების განახლება მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ინსტიტუციის აკადემიურ პროფილს.

ხელშეკრულების თანახმად, კონსორციუმი პასუხისმგებელია რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფაზე, ტექნიკურ მხარდაჭერაზე, კონსულტაციებსა და ტრენინგებზე, თუმცა არ არის პასუხისმგებელი რესურსების შინაარსზე. უნივერსიტეტს ეკრძალება მასალების მესამე პირებზე გადაცემა და ვალდებულია დაიცვას მომწოდებლის შეზღუდვები. გამოყენების უფლება ვრცელდება უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელზე, სტუდენტსა და მკითხველზე.

2025 წლის მომსახურების საფასური არის 1,500 ლარი, რომელიც ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა იყოს გადადილი. თუ რესურსების შინაარსში არსებითი ცვლილება მოხდება, საჭიროა ხელშეკრულების განახლება; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია მისი შეწყვეტა საფასურის პროპორციული დაბრუნებით. სერვისი მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო ხელშეკრულება ძალაშია 2026 წლის 31 იანვრამდე. დოკუმენტი შესრულებულია ელექტრონული ხელმოწერებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბიბლიოთეკო რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ელექტრონული კატალოგი;
- საბიბლიოთეკო აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განახლებისა და განვითარების მექანიზმები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ბიბლიოთეკის გამოყენების რეგულაციები და ინსტრუქციები;
- ბიბლიოთეკის რესურსების უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების უფრო ეფექტური მხარდაჭერისთვის, უნივერსიტეტმა განაახლოს და გაამრავლოს სახელოვნებო მიმართულებების ელექტრონულ რესურსებზე წვდომა.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა 2025–2031 წლებისთვის, რომელიც 2024 წლის 26 დეკემბერს დამტკიცდა. დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს უნივერსიტეტის შეუფერხებელი ფუნქციონირება და პოტენციური რისკების მინიმიზაცია კრიზისულ სიტუაციებში. გეგმა რისკს განსაზღვრავს, როგორც ისეთი მოვლენის ალბათობას, რომელიც შეიძლება უარყოფითად აისახოს უნივერსიტეტის მიზნების შესრულებაზე.

რისკის შეფასება ხორციელდება ორი ძირითადი პარამეტრის საფუძველზე: აღმოცენების ალბათობა და ზეგავლენის ხარისხი. რისკების მართვა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელშიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი. პროცესი მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებას, ასევე საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

დოკუმენტში განსაზღვრულია რისკების ექვსი ძირითადი კატეგორია:

- საოპერაციო რისკები მოიცავს კომუნალური მომსახურებების შეწყვეტას, პერსონალის შემცირებასა და ინფრასტრუქტურის დაზიანებას. აკადემიური პერსონალის შემცირება შეფასებულია მაღალი ზეგავლენის მქონე რისკად სტუდენტებისათვის, რომლის გამოსწორების პერიოდი დაახლოებით 10 დღეს შეადგენს.
- ტექნოლოგიური რისკები მოიცავს ინტერნეტის მიწოდების შეწყვეტას, ტექნიკის დეფიციტსა და მონაცემების დაკარგვას ან დაზიანებას.
- ფინანსური რისკები გულისხმობს სწავლის საფასურის შემოსავლების შემცირებას და საგრანტო დაფინანსებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.
- იურიდიული რისკები მოიცავს საკანონმდებლო ცვლილებებსა და სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევას.
- სოციალური რისკები დაკავშირებულია სტუდენტთა სოციალური პირობების გაუარესებასთან.
- სტრატეგიული და რეპუტაციული რისკები მოიცავს სტუდენტთა ჩარიცხვის შემცირებას, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და ინსტიტუციური ნდობის კლებას.

ადმინისტრაციის უფროსი პასუხისმგებელია ბიზნესპროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფაზე, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით. მთლიან ზედამხედველობას ახორციელებს რექტორი, ხოლო კონკრეტულ მიმართულებებს უძღვებიან დეკანები და შესაბამისი ერთეულების ხელმძღვანელები, ხოლო საფინანსო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები პასუხისმგებლები არიან კონრეტულ მიმართულებებზე. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, რექტორი ამტკიცებს გაუმჯობესების ღონისძიებებს.

გეგმა დინამიურია და საჭიროებს რეგულარულ განახლებას; ცვლილებები ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით. დოკუმენტი ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ კრიზისულ ვითარებაში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის მომსახურების შეუფერხებლად მიწოდება და დროულად აღადგინოს ნორმალური ოპერაციები.

იმავე მიზნის შესასრულებლად, ბხსუ-ს შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების დებულება, რომელიც დამტკიცებულია 2018 წლის 7 მაისს და ბოლოს განახლდა 2025 წლის 19 მაისს. დებულება განსაზღვრავს ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების პროცედურებს.

დოკუმენტის თანახმად, IT მენეჯერი და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი პასუხისმგებლები არიან IT სისტემების ადმინისტრირებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის , მათ შორის დომენის, ჰოსტინგისა და უსაფრთხოების სერთიფიკატების მართვაზე.
ოფიციალური ვებგვერდი ფუნქციონირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე და იმართება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

უნივერსიტეტის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა მოიცავს ფიზიკურ სერვერებს, შიდა ქსელს, კომპიუტერულ პროგრამასა და შესაბამის ტექნიკას. პროგრამული რესურსები მოიცავს: Microsoft Windows, Microsoft Office, Adobe Photoshop, Adobe Premiere, SketchUp, AutoCAD და სხვა სპეციალიზებული პროგრამებს. ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ისე სტუდენტებისათვის - კომპიუტერული ლაბორატორიების, ბიბლიოთეკისა და სპეციალურად გამოყოფილი სამუშაო სივრცეების მეშვეობით. უმაღლესი სასწავლებლის მთელ ტერიტორიაზე მუდმივად ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი.
უნივერსიტეტი იყენებს რამდენიმე ელექტრონულ სისტემას აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების მხარდასაჭერად, მათ შორის: სწავლების პროცესის მართვის სისტემას, საქმისწარმოების სისტემას, ნორმატიული აქტების ბაზა Codex-ს, ბიბლიოთეკის კატალოგის მართვის პროგრამა OPENBIBLIO-ს, ელექტრონულ ბიბლიოთეკას, პლაგიატის აღმომჩენ სერვისს და ORIS-ის საბუღალტრო პროგრამას. სასწავლო სისტემების მართვაზე ერთობლივ პასუხისმგებლობას იღებენ IT მენეჯერი, კოორდინატორი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამების ხელმძღვანელები და საფინანსო სამსახური. სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში, მომხმარებლებმა ერთ კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ წერილობითი შეტყობინება.
გარდა ამისა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ელექტრონული სერვისებისა და რეესტრის მართვის წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2023 წლის 22 ნოემბერს და ბოლოს განახლდა 2025 წლის 26 მარტს. წესი განსაზღვრავს შიდა ელექტრონულ სისტემებში, სწავლების ელექტრონული მართვის სისტემასა და ბხსუ-ს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის განთავსებისა და დამუშავების პროცედურებს, პირობებსა და პასუხისმგებელ პირებს.

ამ წესის მთავარი მიზანია: ელექტრონული სერვისების იდენტიფიცირება, შიდა და გარე რეესტრების მართვის პროცედურების დაცვა, აღნიშნული სისტემების ეფექტიანი ადმინისტრირება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული წესის გამჭვირვალობას, ხოლო ყველა თანამშრომელი და პროცესებში ჩართული თითოეული პირი ვალდებულია გაეცნოს მას და დაიცვას მისი მოთხოვნები.
ბხსუ დიდი მოცულობის ინფორმაციას ასახავს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც მოიცავს რამდენიმე კატეგორიის მონაცემებს. სისტემა მოიცავს: ინფორმაციას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და უფლებამოსილი წარმომადგენლების შესახებ (სახელი, გვარი ქართულ და ინგლისურ ენებზე, სკანირებული ხელმოწერები, პირადი ნომრები, საკონტაქტო ინფორმაცია); იქ ასევე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელსა და აკადემიური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების სკანირებულ ფორმებზე, მათ შორის მათი მოქმედების ვადებზე.

გარდა ამისა, სისტემა შეიცავს დეტალურ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შესახებ, მათ შორის მათ პირად მონაცემებს, თანამდებობას, აფილირებას, სამუშაოს სახეებსა და მოცულობას, განათლების შესახებ ინფორმაციას. ანალოგიურად, სისტემა ინახავს ინფორმაციას უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლების, მენეჯერებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ.

სისტემა ასევე მოიცავს განათლების მიღების უფლების მქონე პირების ისეთ მონაცემებს, როგორიცაა პირადი მონაცემები, ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, სწავლის საფასური, სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, წინა საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, ჩარიცხვის ფორმა, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი. ამასთან ერთად, ჩანს გამოცდის ნომერი და მისი შედეგები.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბხსუ) ოპერირებს შიდა ელექტრონული სისტემით, რომელიც შედგება რამდენიმე ინტეგრირებული მოდულისგან: სასწავლო პროცესის მოდული, ბიბლიოთეკის მოდული, ფინანსური მოდული, ადამიანური რესურსების (HR) მოდული და ასევე შიდა კომუნიკაციის ფუნქცია. სისტემის მართავენ შესაბამისი ფაკულტეტის თანამშრომლები და კოორდინატორი, ხოლო მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სასწავლო პროცესის მოდულში ინტეგრირებულია ელექტრონული ჟურნალი. ბიბლიოთეკის მოდული უზრუნველყოფს მკითხველთა კითხვარების მართვას, საბიბლიოთეკო რესურსების (ბეჭდურისა და ციფრულის) აღრიცხვასა და მათი გამოყენების მონიტორინგს. ფინანსური მოდული შესაძლებელს ხდის საფინანსო ოპერაციების ადმინისტრირებასა და კონტროლს, მათ შორის შეიცავს: სწავლის საფასურის გრაფიკებს, სწავლის საფასურის გადახდას, გრანტების მართვასა და სხვა ფინანსურ ტრანზაქციებს. სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ უახლესი ინფორმაცია თავიანთ ფინანსურ დავალიანებებსა და გადახდის გრაფიკებზე. HR მოდული მოიცავს უნივერსიტეტის ყველა ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაცემებს.

შიდა ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შეყვანაზე პასუხისმგებლობა მოდულების მიხედვით ნაწილდება:

- სასწავლო პროცესის მოდული ფაკულტეტის მდივანი
- ელექტრონული ჟურნალი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- ბიბლიოთეკის მოდული: ბიბლიოთეკის პერსონალი
- ფინანსური მოდული: საფინანსო დეპარტამენტი
- ადამიანური რესურსების მოდული: ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური

უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეული და პასუხისმგებელი თანამშრომელი უზრუნველყოფს მონაცემების ზუსტ და სრულ შეყვანას როგორც უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ისე შიდა ელექტრონულ სისტემაში, ასევე ინფორმაციის განახლებას და აღმოჩენილი შეცდომების დროულ გამოსწორებას.
წესში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინადადების საფუძველზე, იურიდიულ სამსახურთან შეთანხმებით. წესის ფარგლებში დაუზუსტებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებას, მათ შორის პირადი ინფორმაციის დაცვას.

უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს როგორც საკომუნიკაციო, ისე საინფორმაციო ფუნქციას და წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე.ზ ვებგვერდი მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ ინფორმაციას, ხოლო შინაარსი რეგულარულად ახლდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი სიზუსტე და აქტუალობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნეს პროცესის უწყვეტობის გეგმა (2025-2031).
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისა და ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესები
- ელექტრონული სერვისებისა და რეესტრის მართვის წესები
- სერვისებისა და ინტერნეტის სერვისის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

- უსდ - ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ - ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროცესის მართვის წესები განსაზღვრავს ბიუჯეტის ფორმირების, მართვის, შესრულებისა და კონტროლის სისტემას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროცესი იმართება ხუთი ძირითადი პრინციპით: ყველა რელევანტური საკითხის მოცვა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, უნივერსალურობა და კონსოლიდირება. ბიუჯეტი მოიცავს უნივერსიტეტის, ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულების ფინანსებს და მისი მართვა ხორციელდება საფინანსო სამსახურის მიერ.

ბიუჯეტის პროექტი მზადდება უნივერსიტეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე. სტრუქტურულმა ერთეულებმა ინფორმაცია უნდა წარადგინონ არაუგვიანეს 30 სექტემბრისა. კონსოლიდირებული პროექტი 1 ნოემბრამდე უნდა წარდგეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე, ხოლო საბოლოო დამტკიცება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.

ბიუჯეტის შესრულება ხდება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით. ბიუჯეტური ასიგნაციები წყდება 31 დეკემბერს. კანცლერს შეუძლია 10%-მდე ბიუჯეტური ცვლილებების ავტორიზება, ხოლო ამ ზღვრის გადაჭარბების შემთხვევაში, საჭიროა წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან დამტკიცება.

ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ნორმატიული აქტების მიხედვით. საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 აპრილისა, კანცლერი წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.
ბიუჯეტის კონტროლი უზრუნველყოფილია გარე აუდიტებით, და აუდიტის დასკვნები დასრულებიდან 10 დღეში უნდა წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთწლიანი ბიუჯეტის დინამიკა აჩვენებს, რომ COVID-19 პანდემიის პერიოდში საერთო ბიუჯეტი დაახლოებით 30%-ით შემცირდა, მაგრამ შემდგომ წლებში თანდათან აღდგა და პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელს დაახლოებით 7%-ით გადააჭარბა. ბოლო ოთხი წლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 8%-ია.

შრომის ანაზღაურება ბიუჯეტის უდიდეს კომპონენტად რჩება და საერთო ხარჯების 64%-დან 72%-მდე მერყეობს. აღნიშნულ პერიოდში ხელფასების წილი თითქმის 8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, რაც მიუთითებს უნივერსიტეტის მხრიდან პერსონალის ხარჯების დაპრიორიტეტებაზე. ხუთი წლის განმავლობაში ხელფასების ნომინალური ზრდა დაახლოებით 35%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ბიუჯეტის საერთო ზრდის ტემპს.
ბიუჯეტის შესრულების ხარისხი წლების მიხედვით განსხვავებულია. პანდემიის პირველ წელს დაფიქსირდა ყველაზე დაბალი შესრულება (გეგმის 78%), ხოლო ყველაზე მაღალი კი 2023 წელს იყო (94%), რაც 17 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებას წარმოადგენს.

საქონელსა და სერვისებს ბიუჯეტის მეორე უმსხვილესი კატეგორია უკავია, საერთო ბიუჯეტის 23%-დან 28%-მდე. ამ კატეგორიაში შესრულების მაჩვენებლები 77%-დან 91%-მდე მერყეობს, რაც დაგეგმვის სირთულეებზე მიუთითებს.

კაპიტალური ხარჯები ყველაზე მნიშვნელოვანი არათანმიმდევრულობით ხასიათდება. არაფინანსური აქტივების ბიუჯეტი საერთო ბიუჯეტის 3%-დან 10%-მდე მერყეობს, თუმცა ზოგჯერ შესრულება მხოლოდ 37%-ს აღწევს, საშუალო შესრულება კი დაახლოებით 75%-ია.

შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულთა ანაზღაურება, რომელიც ცალკე მუხლად არის გამოყოფილი, საერთო ხარჯების 10%-12%-ს შეადგენს და ყველაზე სტაბილურად სრულდება - საშუალოდ 97%-99% ით. აღნიშნული ასახავს დასაქმების მოქნილი მოდელების სტაბილურობას.

მივლინების ხარჯებს საქონელსა და სერვისებში 1%-დან 3%-მდე უკავია, თუმცა მათი შესრულება 60%-დან 96%-მდე მერყეობს, რაც ცვალებად საჭიროებებს ანდა ოპტიმისტურ დაგეგმვას შეიძლება ასახავდეს.

კომუნალურ მომსახურებებს საოფისე ხარჯების 35%-დან 55%-მდე მიაქვს, შედარებით სტაბილური შესრულებით: 72%-დან 92%-მდე. ამ კატეგორიაში ელექტროენერგია შეადგენს დაახლოებით 40%-60%-ს, ბუნებრივი გაზი 25%-45%-ს, წყალი კი 10%-20%-ს.

სტიპენდიები და გრანტები კვლავაც განციდის დაფინანსების კრიტიკულ ნაკლებობას და საერთო ბიუჯეტის მხოლოდ 0.4%-დან 0.6%-მდე შეადგენს. შესრულების მაჩვენებლები ხშირად გეგმის 60%-80%-ს აღწევს, რაც სტუდენტური პროგრამებისთვის არასაკმარის მხარდაჭერაზე მიუთითებს.

სატრანსპორტო ხარჯები საერთო დანახარჯების 1%-დან 2%-მდე შეადგენს, ხოლო შესრულება 28%-დან 48%-მდე მერყეობს, რაც ან ზედმეტად ოპტიმისტურ დაგეგმვაზე, ან რესურსების არასრულად ათვისებაზე მიუთითებს.

ხარჯთა სტრუქტურის ტენდენცია მიუთითებს ხელფასების მზარდ წილზე - 64%-იდან 2019 წელს, 72%-მდე 2024 წელს, სხვა მიმდინარე ხარჯები კი მცირდება. საერთო ჯამში, უნივერსიტეტის ფინანსური პროფილი ხასიათდება პერსონალის ხარჯების დომინირებით, რომელიც უკვე საერთო ბიუჯეტის თითქმის სამ მეოთხედს შეადგენს.

2025 წლის ბიუჯეტი შეადგენს 2,597,464 ლარს, რომელიც ორი წყაროდან ფინანსდება:

ფინანსური სტრუქტურა ნათლად გვიჩვენებს შიდა შემოსავლების დომინირებას, რომლებიც შეადგენს საერთო დაფინანსების 84.6%-ს, მაშინ როცა სახელმწიფო ბიუჯეტის წილი მხოლოდ 15.4%-ია. ხარჯების განაწილება აჩვენებს ძლიერ აქცენტს პერსონალთან დაკავშირებულ ხარჯებზე , სადაც შრომის ანაზღაურება მთლიანი ბიუჯეტის 74.5%-ს შეადგენს. ეს თანხები ექსკლუზიურად ოფიციალურ ხელფასებზეა გამოყოფილი, რაც მიუთითებს კომპენსაციის მკაცრ სტრუქტურაზე წახალისების დამატებითი ფორმების გარეშე.

საქონელი და მომსახურება მთლიანი ხარჯების 19.1%-ს შეადგენს. ამ კატეგორიაში, შტატგარეშეთა ანაზღაურება დომინანტურ კომპონენტად გვევლინება, რომელიც საქონლისა და მომსახურების ხარჯების 51.8%-ს შეადგენს, ამ ხარჯების შესამჩნევი კონცენტრაცია კი ბოლო კვარტალშია. ოფისთან დაკავშირებული ხარჯები საქონლისა და მომსახურების ბიუჯეტის 25.1%-ს შეადგენს, საიდანაც კომუნალური ხარჯები 40.6%-ს შეადგენს, რაც ენერგიის მოხმარების სეზონურ ცვალებადობას ასახავს.

საკომუნიკაციო მომსახურება კვარტალურად სტაბილურ ტენდენციას მიჰყვება, ხოლო საკანცელარიო ნივთები, წარმომადგენლობითი და სხვა საოპერაციო ნივთები ერთად საქონლისა და მომსახურების დარჩენილ წილს შეადგენს. წარმომადგენლობითი ხარჯები ნაწილდება კვებაზე, განთავსებასა და ჯილდოებთან დაკავშირებულ აქტივობებზე, თითოეული მათგანი მთლიანი თანხის მცირე ნაწილს შეადგენს.

საქმიანი მივლინებები ბიუჯეტის შედარებით მცირე პროცენტს შეადგენს, რომელიც იყოფა შიდა და საერთაშორისო მობილურობაზე. სხვა ხარჯების კატეგორია დაწესებულების მთლიანი ფინანსური ასიგნების 1.2%-ს შეადგენს, მათ შორის სტიპენდიებს, გრანტებს და სხვა მიმდინარე საოპერაციო ხარჯებს.

არაფინანსური აქტივები მთლიანი ხარჯების 5.3%-ს შეადგენს. ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი - 72.9% - კაპიტალურ გრანტებზეა მიმართული, დანარჩენი ნაწილი კი აღჭურვილობის შეძენასა და საგანმანათლებლო რესურსებზეა გამოყოფილი, რომლებიც ინსტიტუციური განვითარების საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა კვარტალზე ნაწილდება.

ხარჯების კვარტალური გადანაწილება: Q1: 23.6%, Q2: 26.6% (ყველაზე მაღალი, აკრედიტაციისა და საგანმანათლებო აქტივობების პიკის გამო), Q3: 25.0%, Q4: 24,7%

საერთო ჯამში, ბიუჯეტში ისახება პერსონალზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელშიც დასაქმებულთა ხელფასები საერთო ხარჯების 74.5%-ს შეადგენს. ბიუჯეტის დაგეგმვა სტაბილურია, თავისუფალი რეზერვების გარეშე, რას მკაცრ ფინანსურ დისციპლინაზე მიუთითებს. კაპიტალური ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია
ინსტიტუციურ განვითარებაზე, განსაკუთრებით აკრედიტაციასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, რაც მიუთითებს სტრატეგიულ ორიენტაციაზე.

კვლევითი და შემოქმედებითი აქტივობები:

2025 წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს საკუთრივ კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილ თანხებს. არაპირდაპირი ინდიკატორები მინიმალურ დაფინანსებაზე მიუთითებენ:

- საბიბლიოთეკო ხარჯები: 0.7%, კონფერენციები და სემინარები: 0.5%, გამოცემა: 0,15% 0,15%

საერთო ჯამში, უშუალოდ კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი სახსრები ბიუჯეტის 1.4%- ზე ნაკლებს შეადგენს. აკადემიური ჩართულობისთვის რესურსების გამოყოფა მოიცავს 4,500 ლარს შიდა მივლინებისთვის, 6,095 ლარს საერთაშორისო მივლინებებისათვის და 12,400 ლარს კონფერენციებისათვის, რაც საკმარისია წელიწადში მხოლოდ ორი-სამი საერთაშორისო მივლინებისა და რამდენიმე ადგილობრივი ღონისძიებისათვის. საერთაშორისო პუბლიკაციებისთვის ბიუჯეტი არ არის გამოყოფილი.

ამდენად, ბიუჯეტი უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფს საბაზისო საოპერაციო ფუნქციონირებას, მაგრამ არ არის ორიენტირებული კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მდგრად განვითარებაზე. სამეცნიერო და შემოქმედებითი კომპონენტებისათვის საბიუჯეტო სახსრების გაძლიერება აუცილებელია ყოვლისმომცველი აკადემიური და შემოქმედებითი განვითარების მხარდასაჭერად უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი
- უნივერსიტეტის 2019-2024 წლების ბიუჯეტი
- დაფინანსების წყაროები
- კვლევის, ბიბლიოთეკის ოპერირებისა და განვითარების მიმართულებით გაწეული და დაგეგმილი ხარჯები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ბიუჯეტში გაძლიერდეს კვლევისა და შემოქმედებითი აქტივობების მდგრადი განვითარების მიმართულებით სახარჯო კომპონენტი.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.